ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ლევან ბერძენიშვილს ყვარელში პიკეტი მოუწყვეს და ლექცია არ ჩაატარებინეს

გვ.3

ორშაბათი, 16 იანვარი, 2023 №10 (9046) ფასი: 80 თეთრი

„ნაციონალური მოძრაობა არჩევნების შემდეგ დაიშლება“

მამუკა გამყრელიძე: „ჩვენ ახლა საითაც მივდივართ, ეს მმართველობის რუსული სტილია, როდესაც ხელისუფლება ნებისმიერ კრიტიკაზე საშინელი აგრესიით ან იგნორირებით პასუხობს“

გვ.2

„პარლამენტში „გაჭედილები“, ე.წ. ოპოზიცია, გარეთ გამოეტიეთ!“

ლაშა ჩხარტიშვილი: „ივანიშვილი კიდევ ერთ არჩევნებს მოგვპარავს და ძალაუფლებას ჯიბეში კიდევ ერთხელ ჩაიდებს“

გვ.3

„შეშლილი დესპოტი პუტინი მზად არის, თავისი სისხლიანი თამაშისთვის მილიონობით სიცოცხლე გაწიროს“

გვ.4

რუსეთს „ოდკბ“ ეშლება



გვ.3

„მეგობარი... ლეგენდა“ — ზელენსკის სამძიმარი ბუბა კიკაბიძის გარდაცვალებაზე



გვ.4

ალიევი: „ვახტანგ კიკაბიძის სახელი სამუდამოდაა ამოტვიფრული საბჭოთა და ქართულ დიდებულ კულტურაში“

გვ.3

მიხეილ სააკაშვილი: „ვგლოვობ საუკეთესო მეგობარს“

1993230720223

5 15 იანვრიდან მედიკამენტებზე რეფერენტული ფასები განისაზღვრება

4 დავით კაჭარავა: „ძალიან კარგია, რომ არსებობს მეცენატი ბიძინა ივანიშვილი“

5 თბილისი-მარნეულის გზაზე სასწრაფომ კაცი გაიტანა

2 ერდოღანის მრჩეველი: „მოსკოვსა და კიევს ომის მოსაგებად სამხედრო საშუალებები არა აქვთ“

„ნაციონალური მოძრაობა არჩევნების შემდეგ დაიშლება“

მამუკა გამყრელიძე: „ჩვენ ახლა საითაც მივდივართ, ეს მმართველობის რუსული სტილია, როდესაც ხელისუფლება ნებისმიერ კრიტიკაზე საშინელი აგრესიით ან იგნორირებით პასუხობს“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს მამუკა გამყრელიძე პასუხობს.

– ბატონო მამუკა, როგორ აფასებთ ბოლო პერიოდის პოლიტიკურ პროცესებს? ოპოზიციურ ფლანგზე არსებული სიტუაციის შეფასებით დავიწყოთ. ნაციონალურ მოძრაობაში ვხედავთ, რომ დიდი დაპირისპირებაა. არჩევნების წინ ფარული ჩანაწერებით ბრძოლა დაიწყეს. რა ხდება, რას იტყვით ამ ყველაფერზე?

– რა უნდა ხდებოდეს, ბრძოლაა პირველობისთვის, მეტი არაფერი. იგივე შეიძლება მოხდეს ნებისმიერ პარტიაში, როდესაც ყოფილი სახელისუფლებო პარტია შემდეგ უკვე ინტერესების მიხედვით იყოფა. უკვე რამდენიმე დაყოფა მოხდა ნაციონალურ მოძრაობაში, 2016-შიც იყო, მანამდეც იყო, როდესაც „გირჩი“ გამოეყო. კიდევ უფრო ადრე ვაშაძე გამოეყო.

– მიშა აღარავის ახსოვს, მხოლოდ საკარძლებისთვის იბრძვიანო.

– ასე ხდება ხოლმე ყოველთვის. მე ამაში გასაკვირს ვერაფერს ვერ ვხედავ. რეალურად ნაციონალური მოძრაობა იყო კოალიციური პარტია, რომელმაც გაიმარჯვა არჩევნებში და შემდეგ, როგორც სახელისუფლებო პარტიას სჩვევია, მიიერთა კიდევ ბევრი საინტერესო სახე, გაიზარდა, გაძლიერდა. შესაბამისად, იქ შეიკრიბა ბევრი სხვადასხვა შეხედულების მქონე ადამიანი, ხოლო როდესაც ხელისუფლებიდან წავიდა, დაიწყო ნელ-ნელა დაშლა. ზუსტად იგივე ელოდება „ქართულ ოცნებას“.

– ანუ არჩევნები როგორც კი ჩატარდება, მაინც დაიშლება ნაციონალური მოძრაობა? დამარცხებული ფრთა გამოეყოფა?

– კი, ასე იქნება. ალბათ უფრო გაიშლება. დამარცხებული გავა ცალკე. 2012 წლის მერე ამ პარტიაში სულ ასეთი პროცესებია.

– ფარულ ჩანაწერებზე რას იტყვით? ნიკა მელიასა და გიული ალასანიას წინააღმდეგ გავრცელებულ ჩანაწერებს ვგულისხმობ.

– ფარული ჩანაწერები იმდენად ბინძური და სამარცხვინო რამ არის, რომ მასზე ყურადღების გამახვილება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება. რაც ნაკლებს ვილაპარაკებთ ამაზე, მით უფრო იშვიათად შემოაგდებენ. ეს პრაქტიკა რაღაცნაირად მედიამ უნდა გაანეიტრალოს თავისი უყურადღებობით. დღეს ქვეყანაში გაცილებით მნიშვნელოვანი ამბები და გამოწვევებია. არც ამ პარტიასა და არც მის გარშემო მიმდინარე პროცესებს არანაირი მნიშვნელობა არა აქვს. დღეს მთავარი ის არის, საქართველო რა მიმართულებით წავა, დარჩება პროდასავლური თუ არა. ამ ბოლო დროს ცოტა ეჭვი მეპარება, რომ პროდასავლურობა უნდოდეს.



– საკმაოდ მნიშვნელოვანი საკითხია. საით მიჰყავს ჩვენს ხელისუფლებას ქვეყანა?

– მე აშკარად ვხედავ დასავლური მიმართულებიდან უკუსვლას, ვექტორის შეცვლას და ეს მარტივი გასაგებია, რადგან მოსალოდნელი იყო. საზოგადოების მართვა გაცილებით მარტივია ავტოკრატიული მეთოდებით. ჩვენ ახლა საითაც მივდივართ, ეს მმართველობის რუსული სტილია. როდესაც ხელისუფლება ნებისმიერ კრიტიკაზე საშინელი აგრესიით ან იგნორირებით პასუხობს, მე მართალი ვარ და შენ, რაც გინდა, ის ქენი! ორი მეთოდია, ან სრული იგნორირება, ან საშინელი აგრესია ნებისმიერ კრიტიკაზე. ეს განსხვავებულ აზრთან ბრძოლის რუსული მეთოდოლოგიაა. ეს მხოლოდ იმ პირობებშია შესაძლებელი, როდესაც დემოკრატია მთლიანად არის განულებული და როდესაც ყველაფერი არის ერთი რომელიღაც ავტოკრატიული რეჟიმის ხელში. აი, აქეთ მივდივართ.

– დაუშვებს ამას საზოგადოება?

– სამწუხაროდ, მე ვერ ვხედავ ვერანაირ გაღიზიანებას საზოგადოებაში. ხელისუფლების ეს დამოკიდებულება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მათ აქვთ საზოგადოების უპირობო მხარდაჭერა, ისე, როგორც რუსეთში. რუსეთის ხელისუფლებას ახლა 80%-იანი მხარდაჭერა აქვს.

– ჩვენთანაც ეს სიტუაციაა?

– მე რასაც ვხედავ, ჩვენთანაც იგივე სიტუაციაა. შეიძლება, მხარდაჭერის 75% არ აქვს, მაგრამ ნურც ის კვლევები მოგატყუებთ, სადაც 20-25%-ს იღებს. მის წინააღმდეგ კიდევ უფრო ნაკლები ხალხია. გამოდის, რომ ამ ხელისუფლებას საკმაოდ სასათბურე პირობები აქვს შექმნილი.

– ოპოზიცია იმდენად იმიჯ და სახელშელახულია, რომ საზოგადოებას ისევ ცუდსა და უარესს შორის უწევს არჩევანის გაკეთება. ალბათ აქედან გამომდინარეა ეს ყველაფერი.

– აბსოლუტურად გეთანხმები. ოპოზიცია მთელი ამ წლების განმავლობაში არათუ ვერაფრის შეთავაზება ვერ მოახერხა, ჩვენდა სამწუხაროდ, არამედ სრული დისკრედიტაცია განიცადა, მით უმეტეს, როდესაც ასეთი შიდა ბრძოლები და გამოყოფა და გადაყოფა დაიწყო. მერე, ჩვენ ვხედავთ, ოპოზიციაში დიდი ნაწილი იმ ადამიანებისგან არის დაკომპლექტებული, რომლებიც ადრე „ქართული ოცნების“ მომხრეები იყვნენ და დღეს უცბად ყველაზე რადიკალურ ოპოზიციად გადაიქცნენ. ასეთი გაუგებარი სიტუაცია და სრული აჯაფსანდალი, რომელიც დღეს ქართულ პოლიტიკაშია, რა თქმა უნდა, აბნევს ამომრჩეველს, რომელმაც, უბრალოდ, ხელი ჩაიქნია. ეს უკვე 2012 წელს იყო ბიძინა ივანიშვილის გეგმა, რომ საზოგადოებაში დამკვიდრებულიყო ფრუსტრაცია და ნიჰილიზმამდე მისულიყო. რაც მთავარია, მან ყველანაირად შეუწყო ხელი ევროპასთან უვიზო მიმოსვლას, რომ რაც შეიძლება ბევრი ადამიანი გასულიყო ქვეყნიდან, გაეფხიკა ქვეყანა სოციალურად აქტიური მოსახლეობისგან. ერთი მხრივ, სუსტი და მობერებული მოსახლეობა დარჩა, ან ის, ვისაც აწყობს ეს ყველაფერი, იმიტომ, რომ ასე თუ ისე მოერგო ამ სინამდვილეს და კარგად არის. საზოგადოებაში განსაკუთრებულად ოპოზიციურ განწყობებს მე ვერ ვხედავ.

– ვკარგავთ ევროინტეგრაციისა და კანდიდატის სტატუსის შანსს?

– ნებისმიერ მედალს ორი მხარე აქვსო. ერთი მხრივ, ჩვენ რომ არ ვიმსახურებთ სტატუსს, ცხადია და ამ დაპირისპირებებში კიდევ უფრო კარგად გამოჩნდა. ჩვენი ხელისუფლება უმსგავსოდ იქცევა და მუდმივად რაღაც სისულელეში ადანაშაულებს დასავლეთსა და ევროპულ ინსტიტუციებს. მეორე მხრივ, ევროპამ ძალიან კარგად იცის, ახლა რომ ხელი გვკრას, მთლიანად რუსულ სივრცეში გადავეშვებით.

– დღეს ევროპა უფრო აქტიურობს, ვიდრე ჩვენი ხელისუფლება.

– დიახ, რა თქმა უნდა. მათ არ უღირთ იმ უზარმაზარი თანხების დაკარგვა, რომლებიც ამ წლების განმავლობაში საქართველოში ჩაყარეს. მათი მხრიდან უკვე გამოჩნდა ხაზგასმა, რომ საზოგადოება და მთავრობა ერთიანი არ არის შეხედულებებში და უკვე გაისმის საკმაოდ ხმამაღალი განცხადებები ევროპიდანაც და თეთრი სახლიდანაც, რომ დროა, საქართველოს მოსახლეობამ პასუხი გასცეს ხელისუფლებას. თუმცა მე ამის არ მჯერა, რადგან, ახლა რასაც ვუყურებ, საქართველოს მოსახლეობა ძალიან კმაყოფილია ამ სიტუაციით.

– ბოლო პერიოდში აქტიურად საუბრობენ იმაზე, რომ თვის ბოლოს ივანიშვილი გუნდში ცვლილებებს გეგმავს. კობახიძე საერთოდ გაქრა ტელეეთერებიდან. ამბობენ, რომ მას ძალიან შემოსწყრა ივანიშვილი. ელოდებით ცვლილებებს?

– შესაკრებთა გადანაცვლებით ჯამი არ იცვლება. ვინც ბიძინას გარშემოა, იქიდან გადაათამაშებს, გადაახალისებს, მაგრამ ამით ხაზი ხომ არ შეიცვლება! ბიძინა მართავს „ქართულ ოცნებას“, ყველაფერს აკონტროლებს, ძალიან მყარად უჭირავს ხელში სადავეები. შესაძლებელია, ვიღაცის ზედმეტი აქტივობა, კობახიძე იქნება თუ ღარიბაშვილი, ამას მნიშვნელობა არა აქვს, ბატონ ბიძინას არ მოეწონოს და, რა თქმა უნდა, შეეცდება მათ გაკონტროლებას. არავის აძლევს უფლებას, დამოუკიდებელი თამაში დაიწყოს. შესაძლებელია, იყო ზოგიერთების გააქტიურება, მაგრამ ძირშივე ჩაკლა ეს პროცესი.

– კალაძეს დასჭირდა ფრთების შეკვეცაო. ფიქრობთ, რომ ასე იქნებოდა?

– კი ბატონო. პერიოდულად ამ გასხვლას ძალიან კარგად ახერხებს ბატონო ბიძინა. მინდა გითხრათ, რომ აღფრთოვანებული ვარ მისი ამ მართვის უნარებით. რით ახერხებს ამ ხალხის ასე დამორჩილებას, ამდენი განსხვავებული ადამიანის ასე მონურ მორჩილებაში დატოვებას, საოცარია პირდაპირ. ეს არის ძალიან შესაშური უნარი, თუმცა, ქვეყნისთვის რამდენად კარგია, სხვა საკითხია.

– 2024-მდე ამ რეჟიმით მივალთ?

– კი, ასე მივალთ. აქ განსხვავებული აზრი აღარ გაისმის. ძალიან მკვეთრად პოლარიზებული ორი აზრი არსებობს.

– როგორც თავად თქვა, შუა გაკრიფა?

– დიახ, შუა გაკრიფა. დღეს ორი ღილაკია საქართველოს მოსახლეობის გონებაში, ან ხარ ნაცი, ან ხარ ქოცი! ხელისუფლებისათვის ეს იდეალური მდგომარეობაა.

„აღფრთოვანებული ვარ ივანიშვილის მართვის უნარებით. რით ახერხებს ამდენი განსხვავებული ადამიანის ასე მონურ მორჩილებაში დატოვებას, პირდაპირ საოცარია. ეს არის ძალიან შესაშური უნარი, თუმცა, ქვეყნისთვის რამდენად კარგია, სხვა საკითხია“

რასა იუკნევიჩიენე სალომე ზურაბიშვილს — „თქვენ ისტორიის არასწორ მხარეს ხართ!“

– და რა? თქვენ ისტორიის არასწორ მხარეს ხართ! – ასე გამოეხმაურა ევროპარლამენტარი რასა იუკნევიჩიენე უკრაინის ქალაქ დნიპროში საცხოვრებელ კორპუსზე რუსეთის მიერ განხორციელებული სასტიკი თავდასხმის დაგმობის შესახებ საქართველოს პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილის „ტვიტს“.

ამასთან, ლიეტუველმა ევროპარლამენტარმა სალომე ზურაბიშვილს „ტვიტერზე“ საქართველოს ვიცეპრემიერის განცხადება შეახსენა იმასთან დაკავშირებით, რომ „მისი ქვეყანა უკრაინას სამხედრო დახმარებას არ გაუწევს, რადგან არ სურს, კონფლიქტის მხარე გახდეს“.

შეგახსენებთ, სალომე ზურაბიშვილმა სოციალურ ქსელში გუშინ „მკაცრად“ დაგმო უკრაინის ქალაქ დნიპროში საცხოვრებელ კორპუსზე განხორციელებული „სასტიკი თავდასხმა“.

ერდოღანის მრჩეველი: „მოსკოვსა და კიევს ომის მოსაგებად სამხედრო საშუალებები არა აქვთ“



„მოსკოვსა და კიევს ომის მოსაგებად სამხედრო საშუალებები არა აქვთ. თურქეთი მზადაა, ხელი შეუწყოს ცეცხლის შეწყვეტას“, – ამის შესახებ თურქეთის პრეზიდენტის მრჩეველმა იბრაჰიმ კალინმა განაცხადა.

თურქეთის ხელისუფლების წარმომადგენლის თქმით, ნაკლებად სავარაუდოა, რომ მეომარი მხარეები მზად იყვნენ, დადონ „ყოვლისმომცველი სამშვიდობო შეთანხმება“ უახლოეს თვეებში, მაგრამ ბრძოლის სასტიკმა საფასურმა, შესაძლოა, მალე აიძულოს ისინი, გადახედონ პოზიციებს და მიიღონ ადგილობრივი ზავი საომარი ზონის გარკვეულ ნაწილებში.

– თურქეთი მზადაა, ხელი შეუწყოს ადგილობრივ ცეცხლის შეწყვეტასა და მცირე ლოკალიზებულ დეესკალაციას. არცერთი მხარე არ არის იმ მდგომარეობაში, რომ მოიგოს ომი სამხედრო გზით. ერდოღანმა გამოიყენა თავისი კარგი ურთიერთობა მოსკოვთან და კიევთან, რათა შუამავლობით შეეცადოს თითქმის 11-თვიანი ომის დასრულებას. ის, რაც რუსეთს სურს, არის, პატივი სცენ, როგორც მთავარ მოთამაშეს და აიცილოს NATO თავის მეზობლად. უკრაინა NATO-ში გაწევრიანებას არ აპირებს, მაგრამ მათ რუსეთისგან უსაფრთხოების საკმარისი გარანტიის მიღება სჭირდებათ, – თქვა იბრაჰიმ კალინმა.

ISSN 1987-9385
ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეკვრაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„პარლამენტში „გაჭედილები“, ე.წ. ოპოზიცია, გარეთ გამოეტყვეთ!“

ლაშა ჩხარტიშვილი: „ივანიშვილი კიდევ ერთ არჩევნებს მოგვპარავს და ძალაუფლებას ჯიბეში კიდევ ერთხელ ჩაიდებს“

ნათია ხურცილავა

„ლეიბორისტული პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი ლაშა ჩხარტიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ლაშა, არსებობს მოსაზრება, რომ ამ ერთ წელიწადში შეიძლება ახალი პოლიტიკური ძალები გამოჩნდნენ და 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის კონკურენცია გაიზარდოს. იქნება მიმდინარე წელი არჩევნებისთვის მზადების წელი?

– სიმართლე გითხრათ, არ ველოდები ციდან ახალი პოლიტიკური ძალების ჩამოცვენას. ეს ტექნიკურადაც შეუძლებელი იქნებოდა, თუმცა გამორიცხული არაფერი არ არის. არსებული პოლიტიკური რეალობის გათვალისწინებით, რა თქმა უნდა, ცუდი ნამდვილად არ იქნებოდა ახალი ძალების გამოჩენა, მაგრამ ეს ერთ წელიწადში ტექნიკურად შეუძლებელი მგონია.

რაც შეეხება იმ სტაგნაციას, რომელიც გვაქვს, არაფერი შეცვლის, გარდა ერთისა და ეს უკავშირდება პარლამენტში „გაჭედილებს“. მე ასე ვეძახი იმ ოპოზიციას, რომელიც ქმნის ილუზიას, რომ თითქოს ქვეყანაში დემოკრატიაა, რომ ხელისუფლებაც ადგილზეა და ოპოზიციაც, რომლებიც ერთობლივად კანონშემოქმედებით საქმიანობაში არიან ჩაფლული. ვის ვატყუებთ, დასავლეთს, საკუთარ თავს თუ ხალხს?! არაფერი გამოვა, თუ ეს ხალხი პარლამენტის „ბუფეტიდან“ ვერ გამოეტია. თუ საპარლამენტო ოპოზიციამ არ მიიღო უახლოეს დროში გადაწყვეტილება, ივანიშვილი კიდევ ერთ არჩევნებს მოგვპარავს და კიდევ ერთხელ ჩაიდებს ძალაუფლებას ჯიბეში.

– თუ ამ ხალხმა მიიღო გადაწყვეტილება და პარლამენტი დატოვა, ამით რა შეიცვლება?

– ეს შეცვლის თავად პოლიტიკურ მოცემულობას, მიძინებული თუ უკვე მკვდარი პროცესი გაცოცხლდება. „ქართული ოცნება“ საკუთარ თავთან მარტო დარჩება. პოლიტიკა ქუჩაში გადაინაცვლებს და ჩვენ ხალხთან ერთად ვაიძულებთ ივანიშვილს, დაიწყოს ფიქრი ვადამდელ არჩევნებზე. შეიძლება პროცესების ისე წაყვანა, რომ თავად „ოცნებამ“ შემოგვთავაზოს ვადამდელი არჩევნები, მაგრამ ამ ამინდის შექმნას პროცესი სჭირდება, ბრძოლა სჭირდება ქუჩაში და არა პარლამენტის თბილ დერეფნებში.

მე არა მაქვს ილუზია, რომ ჭაობადქცეულ პარლამენტს ყველა ოპოზიციური პარტია დატოვებს და ნურც დატოვებენ. ეს პირდაპირ მათი ლუსტრირება იქნებოდა, მაგრამ, ვინც დატოვებს, ისინი ხალხს რწმენას დაუბრუნებენ, რომ ყველაფერი დაკარგული არ არის და ბრძოლას აზრი აქვს.

პირდაპირ უნდა იყოს ასეთი ფორმულირება – ვინც პარლამენტში დარჩება, ის არის ივანიშვილთან და ვინც ქუჩაშია, ის იბრძვის ამ ქვეყნის მომავლისთვის.

– ერთობაზე საუბრობთ?

– დიახ, ოპოზიციის გაერთიანება უნდა მოხდეს ერთი მოთხოვნის გარშემო – ვადამდელი არჩევნები ბუნებრივი ბარიერით. ეს იქნებოდა ყველაზე სწორი და გონივრული მოქმედება დღეს ოპოზიციის მხრიდან. ეს გამოაღვიძებს მიძინებულ პოლიტიკურ პროცესს ქვეყანაში.

– წინააღმდეგ შემთხვევაში?

– წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩათვალეთ, 2024 წლამდე არაფერი არ მოხდება, გაგრძელდება ზუსტად იგივე, 2024 წლის არჩევნებზე

„ოპოზიციის გაერთიანება უნდა მოხდეს ერთი მოთხოვნის გარშემო – ვადამდელი არჩევნები ბუნებრივი ბარიერით“

ბიძინა ივანიშვილი კიდევ ერთხელ ჩაიდებს ძალაუფლებას ჯიბეში და ასე გაგრძელდება უსასრულოდ. ეს იქნება საშინელება. ეს იქნება ჩვენი ქვეყნის ცივილიზებული, დემოკრატიული სამყაროდან სრული იზოლირება. განვითარებაზე, დასავლურ პერსპექტივებზე, ევროკავშირზე, მის წევრობის სტატუსზე და ა.შ. საერთოდ ფიქრიც კი წარმოუდგენელი იქნება. ეს იქნება პირდაპირ ქვეყნის ღალატი უკვე არა მხოლოდ ხელისუფლების მხრიდან, არამედ იმ ოპოზიციის მხრიდანაც, რომელიც ვერ გააცნობიერებს ამ საფრთხეებს. ეს იქნება პირდაპირ რუსული ინტერესების გატარება და რუსეთის წისქვილზე წყლის დასხმა.

– გამორიცხავთ, რომ „ოცნებამ“ გადაწყვიტოს, არ მოვიდეს ხელისუფლებაში კიდევ ერთხელ აბსოლუტური ძალაუფლებით, არამედ გაითამაშოს დემოკრატის როლი და ძალაუფლება გაუყოს „ხალხის ძალას“?

– არა, არაფერს არ გამოვრიცხავ. ეს არ არის ახალი პროექტი ივანიშვილის მხრიდან. ვასაძე, „ალტ-ინფო“ და მსგავსი რუსული ინტერესების ელემენტები ახალი არ არის. ეს არის ორი ხელით თამაში, მაგრამ ძალიან ღია თამაშია. „ოცნებასთან“ „ხალხის ძალის“ დისტანცირება, უბრალოდ, შეუძლებელია. ისინი პარლამენტშიც კი საერთო უმრავლესობაში არიან. ამიტომ ძალიან გაუჭირდებათ ასეთი თამაში, თუმცა იმ ხალხის, ძალიან ცოტა პროცენტული მაჩვენებლის, რომელთაც აქვთ რუსული მისწრაფებები, დასაყრდენი იქნებიან, მაგრამ ეს ამინდს ვერ შეცვლის. ამინდს შეცვლის ოპოზიციის გააქტიურება, პირველ რიგში პარლამენტის დატოვება და ქუჩაში გასვლა საერთო მოთხოვნებით. ამაზე უნდა იფიქროს ოპოზიციამ და არა იმაზე, როგორ გავაძლიეროთ „ქართული ოცნება“ და როგორ ვაჩუქოთ მას კიდევ ერთხელ ძალაუფლება, რაც ამ ქვეყანას დაღუპავს.

მიხეილ სააკაშვილი: „ვგლოვობ საუკეთესო მეგობარს“

– ვგლოვობ ჩემს საუკეთესო მეგობარს, – ასე ეხმაურება საქართველოს მესამე პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ქართველი კინომსახიობის, საესტრადო მომღერლის, სცენარისტის, კინორეჟისორის, სიმღერების ავტორის ბუბა კიკაბიძის გარდაცვალებას.

ქართველი კინომსახიობი, საესტრადო მომღერალი, სცენარისტი, კინორეჟისორი, სიმღერების ავტორი ბუბა (ვახტანგ) კიკაბიძე 84 წლის ასაკში გარდაიცვალა.

„მეგობარი... ლეგენდა“ — ზელენსკის სამძიმარი ბუბა კიკაბიძის გარდაცვალებაზე

„ვახტანგ კიკაბიძე – დიდებული ერის დიდებული ადამიანი“ – ასე ეხმაურება უკრაინის პრეზიდენტი ვოლოდიმირ ზელენსკი ბუბა კიკაბიძის გარდაცვალებას, Facebook-ზე მასთან ერთად გადაღებულ ფოტოს აქვეყნებს და მის ახლობლებს უსამძიმრებს.

– ვახტანგ კიკაბიძე. მეგობარი, რომელიც ყოველთვის ჩვენთან იყო. დიდებული ერის დიდებული ადამიანი, ლეგენდა, რომელსაც ყველა ვხედავდით. ხელოვანის ნათელი ხსოვნა და სამძიმარი მის ახლობლებს, – წერს ზელენსკი.

ცნობისთვის, მსახიობი და მომღერალი ბუბა კიკაბიძე 15 იანვარს 84 წლის ასაკში გარდაიცვალა.

ფაშინიანი: „ვუსამძიმრებ კიკაბიძის ოჯახს, ახლობლებსა და მეგობარ ქართველ ერს“

– ღრმა მწუხარებას გამოვთქვამ ვახტანგ კიკაბიძის გარდაცვალების გამო. ვუსამძიმრებ კიკაბიძის ოჯახს, ახლობლებსა და მეგობარ ქართველ ერს. კიკაბიძის მიერ დატოვებული მემკვიდრეობა სამუდამოდ დარჩება კულტურის ისტორიაში, რომელიც თავისებურად განასახიერებს სომეხი და ქართველი ხალხის მეგობრობას, – წერია სომხეთის პრემიერ-მინისტრ ნიკოლ ფაშინიანის განცხადებაში. ვახტანგ კიკაბიძე გუშინ, 15 იანვარს, 84 წლის ასაკში გარდაიცვალა.

ლევან ბერძენიშვილს ყვარელში პიკეტი მოუწყვეს და ლექცია არ ჩაატარებინეს

ყვარლის ევროკლუბის დამფუძნებელი ნიკა გურინი სოციალურ ქსელში წერს, რომ „რეგიონებიდან ჩამოყვანილმა ხალხმა“ ევროატლანტიკურ ცენტრთან პიკეტირება მოაწყო, რის გამოც ლევან ბერძენიშვილმა ლექცია ვერ ჩაატარა.

– ყვარელში ლევან ბერძენიშვილი გვყავდა მოწვეული ლექციის ჩასატარებლად ევროატლანტიკურ ცენტრში. პიკეტირება მოგვიწყვეს ჩამოყვანილებმა სხვადასხვა რაიონებიდან, რის გამოც უსაფრთხოების მიზნით შეხვედრის გაუქმება მოგვიწია. შენობაში ბევრი ბავშვი ელოდა შეხვედრას. ბატონი ლევანი ჩვენს სივრცემდე ფიზიკურად ვერ მოვიყვანეთ, რადგან ჩაკეტილი ჰქონდათ ყველა შემოსასვლელი. აი, აქამდე მივედით ამ ქვეყანაში, – წერს ნიკა გურინი.

გიორგი მუმლაძე მზად არის, ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარეობის კანდიდატებთან დებატები გამართოს

ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარეობის ერთ-ერთი კანდიდატი გიორგი მუმლაძე მზად არის, სხვა კანდიდატებთან იდებატოს.

როგორც მან ჟურნალისტებს განუცხადა, მსურველებს შეუძლიათ, ფორმატი და ადგილი თავად შეარჩიონ.

– ხაზს ვუსვამ, ნებისმიერთან, ნებისმიერ ფორმატში, სადაც უნდათ და როგორც უნდათ, ფორმატი აირჩიონ და მზად ვარ დებატები გაიმართოს. მე ეს თავიდანვე ვთქვი. ძალიან მნიშვნელოვანია, ჩვენმა მხარდამჭერებმა იცოდნენ, ვის აძლევენ ხმას, რა ხედვები, რა გეგმები გვაქვს. ამიტომ მე ამას კი არ გავურბივარ, პირველივე დღიდან ვამბობ, თქვენ თვითონვე აირჩიეთ, მეგობრებო, ფორმატი. მე მზად ვარ, თქვენთან ნებისმიერ საკითხზე ვიდებატო, – განაცხადა მუმლაძემ.

ნიკა მელია: „48 საათში 7.173 ამომრჩეველი დარეგისტრირდა — თავმჯდომარის არჩევნები, უშუალოდ ხმის მიცემა დაიწყება 28 იანვარს“

ერთიანი ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე ნიკა მელია აცხადებს, რომ შიდაპარტიულ არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად 48 საათში 7.173 ამომრჩეველი დარეგისტრირდა.

მისივე ინფორმაციით, რეგისტრაცია გრძელდება 26 იანვრის 10:00 საათამდე.

– უზრუნველყოფილია რეგისტრირებულ ამომრჩეველთა სიისა და ხმის ფარულობა, რაც ნიშნავს, რომ არავის ექნება ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა არჩევანი გააკეთა ამომრჩეველმა (ვის მისცა ხმა).

თავმჯდომარის არჩევნები, უშუალოდ ხმის მიცემა დაიწყება: 28 იანვრის 10:00 სთ-ზე და დასრულდება 30 იანვრის 10:00 სთ-ზე, – ნათქვამია ნიკა მელიას „ფეისბუქზე“ გავრცელებულ განცხადებაში.

რუსეთის „ოდკბ“ ეშლება

„შეშლილი დესპოტი პუტინი მზად არის, თავისი სისხლიანი თამაშისთვის მილიონობით სიცოცხლე გაწიროს“

მარიამ მჭედლიშვილი

ამ დღეებში რუსეთის ჯარმა სარაკეტო დარტყმა მიაყენა კიევს. ომი აქტიური მიმართულებითაც არ ცხრება. უკრაინის თავდაცვის მინისტრი ოლექსი რეზნიკოვი ვარაუდობს, რომ აგრესორი ქვეყნის ჯარები ახალ იერიშს თებერვლის ბოლოს ან მარტის დამდეგს დაიწყებენ. მისი თქმით, დიდია იმის ალბათობა, რომ ეს მოხდება უკრაინის აღმოსავლეთში ან სამხრეთში. მოსალოდნელია შეტევის სამი ვარიანტი: ჩრდილოეთიდან, აღმოსავლეთიდან ან სამხრეთიდან.

ემიგრაციაში მყოფი პუტინის მოწინააღმდეგე ბიზნესმენი და პოლიტიკოსი **ლეონიდ ნევზლინიც** დარწმუნებულია, რომ პუტინი, რომელმაც გაიაზრა მარცხის მოახლოება, ახალი იერიშისათვის ემზადება, თავისი ბოლოდროინდელი საკადრო სამხედრო გადაადგილებებით კი პუტინმა დაამტკიცა, რომ ნამდვილ ომშია ჩართული (რუსეთში ამ ომს დღემდე სპეციალურ სამხედრო ოპერაციას უწოდებენ).

– ყველა ცდილობს, ახსნას ერთი და იმავე სამხედრო ფიგურების გადაადგილება, რასაც ახდენს პუტინი. ჩვენ დიდ ძალასა და მცდელობას ვხარჯავთ იმის განმარტებაზე, თუ რა დგას შეშლილის მოქმედებების უკან. ეს, უბრალოდ, ჭკუიდან გადასული დესპოტია, რომელიც მზად არის, გაწიროს მილიონობით სიცოცხლე თავისი სისხლიანი თამაშებისათვის, – ამბობს ნევზლინი.

მისი აზრით, პუტინის სისხლიან თამაშს სტრატეგია და წესები არ გააჩნია. მას ახლავს წუთიერი გადაწყვეტილებები, რაც მოხდა ბოლოდროინდელი საკადრო გადაადგილებების დროსაც.

პუტინს ფრონტზე მიღწევები არა აქვს. გარდა ამისა, შეიძლება დაეშალოს უსაფრთხოების ის ორგანიზაცია, სადაც მთავარ როლს რუსეთი ასრულებს.

„ახალი თაობა“ წერდა იმ დემარშზე, რომელიც სომხეთის ხელისუფლებამ ნოემბრის ბოლოს მოაწყო რუსეთისა და „ოდკბ“-ს წინააღმდეგ, როცა ხელი არ მოაწერა ამ ორგანიზაციის დეკლარაციას. აზერბაიჯანთან კონფლიქტში ჩართული სომხეთი ორგანიზაციას პრეტენზიებს უყენებს. ამჯერად ერევანმა (სომხეთი ამჟამად ორგანიზაციის თავმჯდომარე ქვეყანაა) უარი განაცხადა „ოდკბ“-ს წვრთნების ჩატარებაზე.

რას ნიშნავს უარი წვრთნების გამართვაზე? გაგრძელდება თუ არა სომხეთის გამიჯვნა „ოდკბ“-სგან? – ამ საკითხებზე ბელარუსის თავისუფალ მედიას ესაუბრა სომეხი პოლიტიკოსი და დიპლომატი, 1990-იანი წლების დემოკრატიული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, ყოფილი დეპუტატი, ექსელჩი სტეფან გრიგორიანი. როგორც ჩანს, „ოდკბ“-ს მიმართ უარყოფითმა დამოკიდებულებამ სომხეთის საზოგადოება გააერთიანა. თუ ტენდენცია გაგრძელდა, სომხეთი ვერ ჩაითვლება რუსეთის მოკავშირედ. რუსი „სამშვიდობოების“ ყოფნის დროებით ხასიათზე მუდმივად საუბრობენ აზერბაიჯანელი მაღალჩინოსნები. ეს ამტკიცებს, რომ რუსეთთან მოკავშირეობას არც აზერბაიჯანი (რომელიც „ოდკბ“-ს წევრი არ არის) აპირებს. თუ რუსეთს „ოდკბ“ დაეშალა და მან სამხრეთ კავკასიაში არსებული პოზიცია დაკარგა, ეს გეოპოლიტიკურ ძვრებს იწვევს.

სტეფან გრიგორიანი:

– ჩვენ მხარს ვუჭერთ სომხეთის პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებას. „ოდკბ“-ს სომხეთის მიმართ არანაირი მხარდაჭერა არ გამოუხატავს. არადა, ეს უსაფრთხოების ორგანიზაციაა. ჩვენ (წევრი ქვეყნები) ერთმანეთს უნდა დავეხმაროთ შეტევის შემთხვევაში. თუ თავს დაესხმებიან ერთ ქვეყანას, მეოთხე მუხლის თანახმად, სხვა წევრები მას უნდა დაეხმარონ. დახმარება შეიძლება იყოს დიპლომატიური, სამხედრო, ტექნიკური. ბოლო ორი წლის განმავლობაში აზერბაიჯანი მინიმუმ 4-ჯერ შემოვიდა ჩვენს ტერიტორიაზე. ამაზე „ოდკბ“-ს განცხადებაც არ გაუკეთებია. ნათელია, რომ ეს უსაფრთხოების ის სისტემა არ არის, რომელიც სომხეთს ესაჭიროება.

ცხადია, რომ ჩვენთან სამხედრო წვრთნების („ოდკბს“-ს წვრთნების) ჩატარება აბსოლუტური უაზრობაა. ამიტომ ჩვენ ვიწონებთ სომხეთის მთავრობის გადაწყვეტილებას, რომელმაც უარი უთხრა მოსკოვს ჩვენს ტერიტორიაზე სამხედრო წვრთნების ჩატარებაზე.

– გაგრძელდება თუ არა სომხეთის დისტანცირება ამ კავშირისგან და შესაძლებელია თუ არა მისი გამოსვლა ამ ორგანიზაციიდან?

– მიუხედავად იმისა, რომ სომხეთის ხელისუფლება გაუბედავად მოქმედებს, მან ფაქტობრივად დაადასტურა, რომ „ოდკბ“-დან გამოსვლა არის სომხეთის პოლიტიკის დღის წესრიგში და მას განიხილავს მთავრობა. გაბედავს თუ არა მთავრობა ამას იმის გათვალისწინებით, რომ რუსეთზე ჩვენი დამოკიდებულება დიდია, ძნელი სათქმელია.

ჩემი მოსაზრება ასეთია: ხელშეკრულების („ოდკბ“-ს) ყველა წევრ ქვეყანას აზერბაიჯანთან აქვს საკუთარი ინტერესი. ისინი სომხეთის სასარგებლოდ არასდროს არ გადადგამენ ნაბიჯს. 2021 წლის 13 სექტემბერს მთელმა მსოფლიომ დაგმო აზერბაიჯანის შეჭრა სომხეთში, გარდა „ოდკბ“-სი. საუბარია სომხეთის ტერიტორიაზე და არა მთიან ყარაბაღზე. უსაფრთხოების ორგანიზაციიდან ეს გაერთიანება გადაიქცა სომხეთისთვის საფრთხის შექმნის ორგანიზაციად.

ალიევი: „ვახტანგ კიკაბიძის სახელი სამუდამოდაა ამოტვიფრული საბჭოთა და ქართულ დიდებულ კულტურაში“

აზერბაიჯანის პრეზიდენტი ილჰამ ალიევი ბუბა კიკაბიძის გარდაცვალების გამო მწუხარებას გამოთქვამს და სამძიმრის წერილს აქვეყნებს:

– დიდ მწუხარებას გამოვთქვამთ ქართველი ხალხის უფროსი შვილის, გამოჩენილი მომღერლის, მსახიობისა და რეჟისორის, ვახტანგ კიკაბიძის გარდაცვალების გამო.

ვახტანგ კიკაბიძის სახელი სამუდამოდაა ამოტვიფრული საბჭოთა და ქართულ დიდებულ კულტურაში. ვახტანგ კიკაბიძე მთელი ეპოქის სიმბოლოდ იქცა თავისი მრავალმხრივი ნიჭის, მაღალი პროფესიონალიზმისა და ხელოვნებაში შემოტანილი ახალი და უნიკალური ატმოსფეროს წყალობით. კინოში მის მიერ შესრულებული დაუვიწყარი გმირები, ორიგინალური სიმღერით შესრულებული სიმღერები რამდენიმე თაობის გულებში განსაკუთრებულ ადგილს იკავებს.

ვახტანგ კიკაბიძე აზერბაიჯანის დიდი მეგობარი იყო. მისი შემოქმედება ყოველთვის უყვარდა აზერბაიჯანელ ხალხს, დიდ პატივს სცემდნენ და მისით აღფრთოვანებულები იყვნენ. მან ასევე მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის კულტურული ურთიერთობების განვითარებასა და მეგობრული და მეგობრული მეზობლური ურთიერთობების განმტკიცებაში.

გამოჩენილი ხელოვანის და გულწრფელი ადამიანის, ვახტანგ კიკაბიძის ძვირფასი ხსოვნა მუდამ იცოცხლებს ჩვენს გულებში. ვიზიარებ თქვენს ტკივილს ამ მძიმე დანაკარგთან დაკავშირებით, ჩემი და მეჰრიბან ხანუმის სახელით ღრმა მწუხარებას გამოვთქვამ, – ნათქვამია ალიევის განცხადებაში. ცნობისთვის, მსახიობი და მომღერალი ბუბა კიკაბიძე 15 იანვარს 84 წლის ასაკში გარდაიცვალა.

ნეპალში ავიაკატასტროფის მსხვერპლთა რაოდენობა 68-მდე გაიზარდა

ნეპალში ავიაკატასტროფის შედეგად, სულ მცირე, 68 ადამიანი დაიღუპა.

მედიის ცნობით, თვითმფრინავში 72 ადამიანი, მათ შორის 68 მგზავრი და ეკიპაჟის ოთხი წევრი იმყოფებოდა. ბორტზე მყოფ მგზავრებს შორის უცხო ქვეყნების 15 მოქალაქე იყო: ერთი ავსტრალიელი, ერთი ფრანგი, ერთი არგენტინელი, ოთხი რუსი, ხუთი ინდოელი, ორი სამხრეთკორეელი და ერთი ირლანდიელი.

ავიაკატასტროფა ქვეყნის ცენტრალურ ნაწილში მოხდა. თვითმფრინავი პოხარას საერთაშორისო აეროპორტთან ახლოს დაშვებისას ჩამოვარდა და ცეცხლი გაუჩნდა.

ნეპალის არმიის პრესსპიკერის განცხადებით, რთული რელიეფის გამო ცხედრების ამოყვანა რთულია.

„სამძებრო-სამაშველო სამუშაოები გრძელდება. ჯერჯერობით გადარჩენილი არავინაა ნაპოვნი“, – აღნიშნა არმიის პრესსპიკერმა.

დავით კაჭარავა: „ძალიან კარგია, რომ არსებობს მეცენატი ბიძინა ივანიშვილი“

– რაგბის კომერციალიზაცია უნდა დავიწყოთ, – ამის შესახებ „ხალხის ძალის“ წევრმა და რაგბის კავშირის გამგეობის თავმჯდომარე დავით კაჭარავამ „posTV-ის“ ეთერში განაცხადა.

როგორც მან აღნიშნა, რაგბიმ ფინანსური დამოკიდებულება უნდა შეამციროს.

– ძალიან კარგია, რომ არსებობს მეცენატი ბიძინა ივანიშვილი და სახელმწიფო ამხელა თანხებს გვაძლევს, მაგრამ მაქსიმალურად უნდა ვეცადოთ, რომ სახელმწიფო ბიუჯეტზე დამოკიდებულება შევამციროთ. ყველა მიმართულებით უნდა განვვითარდეთ. რაგბის კომერციალიზაცია უნდა დავიწყოთ. რაგბი უნდა გახდეს ფულის მომტანი, – აცხადებს დავით კაჭარავა.

მისივე თქმით, ქართული რაგბისთვის გასული წელი წარმატებული იყო და განვითარება აუცილებლად უნდა გაგრძელდეს.

– გასულ წელს ქართულმა რაგბიმ ძალიან მნიშვნელოვან შედეგებს მიაღწია – ავედით უმაღლეს საფეხურზე, რომელზეც საქართველო ჯერ არ ყოფილა. ამ სიმაღლის შენარჩუნება და კიდევ უფრო განვითარება უმნიშვნელოვანესია, – აღნიშნა კაჭარავამ.

მსოფლიოს კოვიდ 19-ის ახალი შტამი უტევს

მსოფლიოს კოვიდ 19-ის ახალი შტამი, XBB 1,5, უტევს, რომელიც ძირითადად ამერიკასა და ჩინეთში ცირკულირებს. სპეციალისტების დაკვირვებით, ვირუსის ახალი ვარიანტი ომიკრონზე სწრაფად ვრცელდება.

აშშ-ში კოვიდშემთხვევების 27% სწორედ ახალ შტამზე მოდის. უფრო რთული ვითარებაა ჩინეთში, სადაც შეზღუდვების მოხსნის შემდეგ ბოლო ერთ თვეში კორონავირუსით 60 ათასი ადამიანი გარდაიცვალა.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია მოგზაურებს მოუწოდებს, ატარონ პირბადე და დაიცვან დისტანცია. არ არის გამორიცხული, სავალდებულო გახდეს გამგზავრებამდე პისიარ ტესტირება.

სპეციალისტების განმარტებით, XBB1,5 სიცოცხლისთვის საშიში არ არის, მას ახასიათებს მაღალი სიცხეები, თუმცა უარყოფითად მოქმედებს თანამდევი დაავადების მქონე პირებზე.

ომიკრონის ახალი შტამი საქართველოში აღმოჩენილი არ არის, თუმცა აეროპორტებში კონტროლი გამკაცრებულია.

იენს სტოლტენბერგი: „ომის გადამწყვეტ ფაზაში ვართ, ამიტომ, მნიშვნელოვანია, უკრაინას მივაწოდოთ ის იარაღი, რომელიც მოსაგებად სჭირდება“

ნატო-ს გენერალური მდივანი იენს სტოლტენბერგი აცხადებს, რომ უკრაინისთვის მეტი იარაღის მიწოდების მოლოდინი აქვს. ამის შესახებ მან გერმანულ გაზეთ Handelsblatt-თან ინტერვიუში განაცხადა.

– მძიმე საბრძოლო აღჭურვილობის შესახებ ბოლო დაპირებები მნიშვნელოვანია და მე უფრო მეტს ველოდები უახლოეს მომავალში, – განაცხადა ალიანსის გენმდივანმა.

მისი თქმით, ომი გადამწყვეტ ფაზაშია და საჭიროა, უკრაინას მიეწოდოს იარაღი, რაც საჭიროა.

– ჩვენ ომის გადამწყვეტ ფაზაში ვართ. ამიტომ, მნიშვნელოვანია, რომ უკრაინას მივაწოდოთ ის იარაღი, რომელიც მას სჭირდება მოსაგებად, – დასძინა სტოლტენბერგმა.

შეგახსენებთ, ამ კვირაში გერმანიაში, რამშტაინის ბაზაზე გაიმართება უკრაინაზე საკონტაქტო ჯგუფის შეხვედრა, რომელიც კოორდინაციას უწევს კიევისთვის იარაღის მიწოდების საკითხებს.

დანაკარგები რუსი ოკუპანტების რიგებში

უკრაინაში ესკალაციამ ოკუპანტების რიგებში დანაკარგები კიდევ უფრო გაზარდა. თანახმად უკრაინის გენშტაბის ცნობისა, სადღეისოდ სურათი შემდეგია: ტანკები – 3.104; არტილერია – 2.090; ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვითი სისტემები – 219; თვითმფრინავები – 286; ვერტმფრენები – 276; უპილოტო თვითმფრინავები – 1867; ფრთოსანი რაკეტები – 723; განადგურებულია 114.660 ოკუპანტი.

ირანში თავდაცვის მინისტრის ყოფილი მოადგილე ჩამოახრჩვეს

ირანში რეპრესიები გრძელდება. ქვეყნის თავდაცვის მინისტრის ყოფილი მოადგილე ალი-რეზა აკბარი ჩამოახრჩვეს.

– მას ბრიტანეთის სასარგებლო ჯაშუშობა დააბრალეს, – იტყობინება ბიბისი.

მოამზადა ნიკა თეგზაძემ

სქემა, რომლითაც ზუგდიდში ორი მაღაზია გაქურდეს

ზუგდიდში 15 იანვარს ორი მაღაზია გაქურდეს, რუსთაველისა და კედიას ქუჩებზე. შემთხვევა გვიან ღამით მოხდა.

არსებული ინფორმაციით, სავარაუდო დამნაშავეებმა მაღაზიების გასაღების ასლები დაამზადეს და ადგილზე ისე შეაღწიეს.

ორივე მარკეტიდან წაღებულია თანხა და თამბაქოს ნაწარმი.

მომხდარზე გამოძიება ქურდობის მუხლით დაიწყო, სავარაუდო დამნაშავეები უკვე იდენტიფიცირებული არიან.

პოლიცია მათ დაკავებაზე მუშაობს.

ქუთაისში „მაგნიტი“ გაქურდეს

ქუთაისში, ბუკიას ქუჩაზე, მაღაზიათა ქსელ „მაგნიტის“ ფილიალი გაქურდეს. შემთხვევა 15 იანვარს, გვიან ღამით მოხდა.

არსებული ინფორმაციით, არასრულწლოვნებმა ობიექტში შესვლა შესასვლელი კარის მინის ჩამსხვრევით შეძლეს. წაღებულია 3000 ლარამდე ღირებულების თამბაქო.

ამასთან, ქუთაისში, ასათიანის ქუჩაზე მდებარე სასურსათო მაღაზიაც გაძარცვეს.

თბილისი-მარნეულის გზაზე სასწრაფომ კაცი გაიტანა

თბილისი-მარნეულის გზაზე სასწრაფო დახმარების მანქანა ქვეითს დაეჯახა, რის შედეგადაც კაცი ადგილზე გარდაიცვალა.

მომხდარზე დაწყებულია გამოძიება.

მიხეილ სააკაშვილი პროცესს ვერც 17 იანვარს დაესწრება

კლინიკა „ვივა მედში“ მიხეილ სააკაშვილთან დედა გიული ალასანია იმყოფება. მისი ინფორმაციით, ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობის გამო, მიხეილ სააკაშვილი 17 იანვარს ჩანიშნულ პროცესზე დასწრებას ვერც ფიზიკურად და ვერც დისტანციურად შეძლებს.

– ისევ ისეთი მდგომარეობაა, არის მძიმედ. ის, რაც მოხდა გუშინ, ძალიან მნიშვნელოვანი იყო. პოლონეთის სეიმის გადაწყვეტილება. ძალიან მნიშვნელოვანი ქვეყანაა, პოლონეთია, ბოლოს და ბოლოს. და თქვენ დაინახეთ, ადამიანები დიდხანს იდგნენ და გადაწყვეტილებას ტაშს უკრავდნენ. ასე რომ, ეს არ არის ხელწამოსაკრავი ამბავი.

გარდა ამისა, ყველამ მოვისმინეთ კონდოლიზა რაისის განცხადება, რომელმაც თქვა, რომ მისი ისტორიული როლი კიდევ შესაფასებელია. ეს, სხვათა შორის, პირველად არ უთქვამს ამ ქალბატონს. მაშინ უკრაინის მხარდამჭერი აქცია მოედანზე რომ იყო, ეს იქაც თქვა, თქვენ აქ რომ დგახართ, არ დაგავიწყდეთ, ვის უნდა უმადლოდეთო და ჩემს შვილს ასახელებდა სწორედ, – განაცხადა ალასანიამ.

პოლონეთში დაკარგული 21 წლის ქართველი ბიჭი იპოვეს



პოლონეთში გაუჩინარებული ქართველი, ქალაქ შჩეცინიდან დაკარგული 21 წლის მიშო ხარაშვილი იპოვეს.

ინფორმაციას ახალგაზრდა კაცის დედა ადასტურებს.

დედა განმარტავს, რომ მისი შვილი თითქმის 700 კილომეტრით მოშორებულ ქალაქში იპოვეს და პოლიციაში გადაიყვანეს.

– ნათესავებმა დაგვირეკეს და გვითხრეს, რომ ცოცხალია და კარგად არის. პოლიციაში გადაჰყავთ ახლა. რა მოხდა, ჯერ არ ვიცი, – ამბობს დედა.

მიშო ხარაშვილი პოლონეთში სამუშაოდ 6 თვის წინ წავიდა.

ოჯახს ბოლო კონტაქტი შვილთან 12 იანვარს ჰქონდა. მას შემდეგ ახალგაზრდა კაცი სახლში აღარ დაბრუნდა და ახლობლები და მეგობრები ხარაშვილს ვეღარ უკავშირდებოდნენ.

პოლონეთში მყოფმა ქართველებმა მამაკაცის გაუჩინარების შესახებ ადგილობრივ პოლიციასაც აცნობეს.

აშშ-ში საქართველოს მოქალაქე გარდაიცვალა

ზუგდიდელი ახალგაზრდა მამაკაცი, რომელსაც ოჯახი და მეგობრები 11 იანვრიდან ეძებდნენ, გარდაცვლილი იპოვეს. ის ამერიკაში, ფილადელფიის შტატში იმყოფებოდა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ გარდაცვლილის ახლობელმა განუცხადა, 35 წლის მამაკაცი ამერიკაში სამუშაოდ ერთი წლის წასული იყო.

მისივე ინფორმაციით, ის კერძო კომპანიაში იყო დასაქმებული და ამერიკაში ავტოავარიით მაშინ გარდაიცვალა, როცა ავტომანქანით ტვირთი გადაჰქონდა.

გარდაცვლილს მეუღლე და ორი შვილი დარჩა.

– ბოლო რამდენიმე დღე კავშირზე არ გამოდიოდა. 11 იანვარს მეგობრებისთვის უთქვამს, რომ რაღაც შეკვეთა ჰქონდა და ტვირთი დანიშნულების ადგილამდე უნდა მიეტანა. როგორც გვაქვს ინფორმაცია, გადაადგილების დროს ჩაეძინა და რაღაცას დაეჯახა, რის შედეგადაც გარდაიცვალა. ამერიკაში სამუშაოდ ერთი წლის წასული იყო. აქ მეუღლე და ორი შვილი ჰყავს, – განაცხადა გარდაცვლილი მამაკაცის ახლობელმა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ საგარეო საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, საკონსულო ინფორმირებულია აღნიშნული ფაქტის შესახებ და მუდმივ კონტაქტზეა გარდაცვლილის ოჯახის წევრებთან.

„განხორციელდება საჭირო პროცედურები“, – აცხადებენ უწყებაში.

ვაზისუბანში ლიფტის შახტაში ცოლ-ქმრის დაღუპვის საქმეზე შსს-მ გამოძიება დაიწყო

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ვაზისუბანში ლიფტის შახტაში ცოლ-ქმრის დაღუპვის საქმეზე გამოძიება დაიწყო. როგორც უწყებაში „ინტერპრესნიუსს“ განუცხადეს, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 240-ე მუხლით დაიწყო, რაც სამთო, სამშენებლო ან სხვა სამუშაოს წარმოებისას უსაფრთხოების წესის დარღვევას გულისხმობს.

ცნობისთვის, ვაზისუბანში 40 წლამდე ასაკის ცოლ-ქმარი ლიფტის შახტაში ჩავარდნის შედეგად დაიღუპა.

არსებული ინფორმაციით, უბედური შემთხვევა მაშინ მოხდა, როდესაც ლიფტი გამოიძახეს, თუმცა კარი ისე გაიხსნა, რომ ლიფტის კაბინა იმ სართულზე არ იყო. მამაკაცი შახტაში ჩავარდა, მის დახმარებას მეუღლე ცდილობდა, რა დროსაც ლიფტი დაიძრა და ორივე დაიღუპა.

რეზო თბილისკი თურქეთში მოკლეს

ტრაპიზონში ცნობილი ქართველი „კანონიერი ქურდი“ რეზო ლორთქიფანიძე, იგივე რეზო თბილისკი მოკლეს.

გავრცელებული ინფორმაციით, იგი მანქანაში სროლის შედეგად გარდაიცვალა. მას მანქანიდან ესროლეს და დაჭრეს. შემთხვევის ადგილზე პოლიცია და სასწრაფო ეკიპაჟი იყო მობილიზებული. ინფორმაციას ამის შესახებ ადგილობრივი მედია ავრცელებს.

– დაშავებული რ.ლ. 112-ის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ჯგუფის პირველი ჩარევის შემდეგ საავადმყოფოში გადაიყვანეს. თუმცა მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა. ორი სავარაუდო დამნაშავე პოლიციამ უკვე დააკავა, – წერს თურქული მედია.

გარდაცვლილი 65 წლის იყო.

15 იანვრიდან მედიკამენტებზე რეფერენტული ფასები განისაზღვრება

15 იანვრიდან მედიკამენტებზე რეფერენტული ფასები განისაზღვრება, 15 თებერვლიდან კი ყველა კომპანია, იმპორტიორი, დისტრიბუტორი თუ საცალო მოვაჭრე ვალდებული იქნება, მაქსიმალური ზედა ზღვარი ამ ფასების მიხედვით დაადგინოს.

ინფორმაციას ამის შესახებ ჯანდაცვის სამინისტრო ავრცელებს.

ჯანდაცვის მინისტრ ზურაბ აზარაშვილის განცხადებით, ფარმაცევტულ სექტორს ფასების გადახედვისთვის ვადა 31 იანვრამდე ექნებათ.

თუკი სექტორი რომელიმე მედიკამენტის ფასზე დასაბუთებულ არგუმენტს წარადგენს, სამინისტროში შექმნილი სპეციალური საბჭო აღნიშნულს განიხილავს.

მინისტრის განცხადებით, რეფერენტული ფასების დაწესება იმ რეფორმის ერთ-ერთი კომპონენტია, რომლის მიზანიც მოქალაქეებისთვის მაქსიმალურად ხელმისაწვდომი და ხარისხიანი ჯანდაცვისა თუ მედიკამენტების მიწოდებაა.

მინისტრმა კონტროლისა და აღსრულების მექანიზმებზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ რეგულაციების დამრღვევებს სხვადასხვა ტიპის სანქციები დაუწესდებათ.

– წამლის კანონში ძალიან მნიშვნელოვანი კონტროლის მექანიზმი ჩავდეთ, რომელიც ნებისმიერი საბითუმო თუ საცალო ქსელისთვის ითვალისწინებს ვალდებულებას, რომ რეგულირების სააგენტოს გამოუჩნდეს ნაშთები, მედიკამენტების ჩამონათვალი და ფასები. ეს ძალიან მნიშვნელოვანი მექანიზმია, არა მხოლოდ რეფერენტული ფასების მიზნებისთვის, არამედ იმ მიზნებისთვის რომელიც დაკავშირებულია ელექტრონული რეცეპტების გამოწერასთან, მედიკამენტების მოძრაობასთან ქვეყანაში, ის, რომ არ შეიქმნას ხელოვნური დეფიციტი და ა.შ. – განაცხადა ზურაბ აზარაშვილმა.

ჯანდაცვის მინისტრის თქმით, უწყება პარალელურად წამლის მიკვლევადობის სისტემის შექმნაზე მუშაობს.

მისივე განმარტებით, სისტემის საშუალებით ნებისმიერ პირსა და ასევე მარეგულირებელს უჩნდება შესაძლებლობა, შტრიხკოდის საშუალებით მედიკამენტთან დაკავშირებული ინფორმაცია მარტივად მიიღოს.

ზურაბ აზარაშვილის თქმით, აღნიშნული ფასსიფიცირებული და ვადაგასული მედიკამენტების მიმოქცევის კონტროლის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ბერკეტი იქნება.

ქუჩები, სადაც 16 იანვარს ელექტროენერგია გაითიშება

სხვადასხვა სამუშაოს ჩატარების გამო 16 იანვარს ელექტრომომარაგება დროებით შეიზღუდება:

სამგორის ჰაიონი

გადაუდებელი სამუშაოების გამო 11:00 საათიდან 18:00 საათამდე შეზღუდვა შეეხება: ლორთქიფანიძისა და პოლიციის ქუჩების მოსახლეობას.

გლდანის ჰაიონი

გადაუდებელი სამუშაოების გამო 11:00 საათიდან 15:00 საათამდე შეზღუდვა შეეხება: სოფელი გლდანის, მუხიანის I, II, IVა, IVბ მიკრორაიონების, გობრონიძისა და გაბაშვილის ქუჩების მოსახლეობას.

საბუჩთაღროს ჰაიონი

ქსელში გადართვების გამო 00:00 საათიდან 03:00 საათამდე შეზღუდვა შეეხება: ნუცუბიძის პლატოს III მიკრორაიონის, ნუცუბიძის, ამაშუკელის, ძოწენიძის, დათუაშვილის, ინტენსიფიკაციის, ჟღენტის, კაპანელის, აბულაძის, ჩხიკვაძის, დადიანის, გამრეკელისა და პიკასოს ქუჩების მოსახლეობას.

გადაუდებელი სამუშაოების გამო 10:00 საათიდან 18:00 საათამდე შეზღუდვა შეეხება: უნივერსიტეტის, პოლიტკოვსკაიას, ქავთარაძისა და ანჯაფარიძის ქუჩების მოსახლეობას.

გადაუდებელი სამუშაოების გამო 11:00 საათიდან 18:00 საათამდე შეზღუდვა შეეხება: სოფელ დიღმის, სტრაბონის, ლამბერტის, მეფე მირიანის, დანიბეგაშვილის, რამაზის, თინათინის, ფატმანის, ავთანდილის, ვეფხისტყაოსნის, ერედვისა და ტარიელის ქუჩების მოსახლეობას.

ვაჯის ჰაიონი

ქსელში გადართვების გამო 00:00 საათიდან 03:00 საათამდე შეზღუდვა შეეხება: ილია ჭავჭავაძის გამზირის (ნაწილობრივ), წყნეთის გზატკეცილის, თამარაშვილის, ყიფშიძისა და წყნეთის ქუჩების მოსახლეობას.

გადაუდებელი სამუშაოების გამო 10:00 საათიდან 18:00 საათამდე შეზღუდვა შეეხება: ილია ჭავჭავაძის გამზირისა (ნაწილობრივ) და მოსაშვილის ქუჩის მოსახლეობას.

სოლედარისათვის ბრძოლები გრძელდება

სოლედარი, დონბასის პატარა ქალაქი, მსოფლიოს ყურადღების ცენტრში მოექცა. რუსებმა უკვე მერამდენედ გაავრცელეს ინფორმაცია სოლედარის აღების თაობაზე. ეს სიმართლეს არ შეესაბამება. უკრაინულმა ტელეარხმა „აპოსტროფ ტივიმ“ გადასცა პირდაპირი რეპორტაჟი სოლედარიდან.

უკრაინული ტელეარხების, აგრეთვე აშშ-ის ომის შემსწავლელი ინსტიტუტის მეშვეობით შესაძლებელია აღვადგინოთ მეტ-ნაკლები სიზუსტით ის, რაც სოლედარში ხდება. ოკუპანტებმა ქალაქთან ფაქტობრივად რუსული არმიის მთელი ელიტა გადაისროლეს. ქალაქი მთლიანადაა დანგრეული. შენობების უმრავლესობა ფუნდამენტიანად არის აფეთქებული. ამ მეთოდებით რუსებმა სოლედარში მიაღწიეს ცენტრამდე, უკრაინელები კი გარეუბნებში გამაგრდნენ. ისინი ინარჩუნებენ კონტროლს სოლედარის მახლობლად მდებარე სიმაღლეებზე და იქიდან ქალაქს ქვემეხებს უშენენ. ოკუპანტების რიგებში კოლოსალური დანაკარგებია.

შექმნილ სიტუაციაში, როცა ტემპერატურა მინუს 15 გრადუსს აღწევს, რუსებს ორი გამოსავალი დარჩათ: ან უკან დახევა, ან წინ წაწევა. მეორე ვარიანტი ფაქტობრივად ყველაფრის თავიდან დაწყებას ნიშნავს, რადგან სიმაღლეები უკრაინელების ხელთაა, ახლომახლო სოფლები კი ნამდვილ ციხე-სიმაგრეებადაა ქცეული. სიმაღლეების დაკავებისა და სოლედარის გარეუბნების გაწმენდის გარეშე რუსები წინ ვერ წავლენ. ახლო მომავალი გვიჩვენებს, თუ რა გზას აირჩევს რუსეთი. დღეს ჯერჯერობით შეიძლება ითქვას, რომ რუსები იძულებულნი გახდნენ, ბახმუტიდან ძალები მოეხსნათ და სოლედარისაკენ გადაესროლათ. მიზანი სოლედარში მყოფი უკრაინული ნაწილების კოტიოლში მოქცევა და განადგურება იყო. ეს ჩაიშალა. სამაგიეროდ, ბახმუტთან ბრძოლების ინტენსიურობა შემცირდა. რუსული მედიის მიერ გავრცელებული ინფორმაცია ბახმუტისათვის ალყის შემორტყმის თაობაზე მორიგი სიცრუეა.

ამრიგად, სოლედარის ცენტრში რუსები არიან, გარეუბნებში კი – უკრაინელები. ქალაქი, სადაც ომამდე 11.000 ადამიანი ცხოვრობდა, აღარ არსებობს. რუსეთის არმიის გეგმა, რომ უკრაინელები კოტიოლში მოექციათ და გაენადგურებინათ, ჩაიშალა.

გენერალი ოსტინი სოლედართან ბრძოლების შესახებ

აშშ-ის თავდაცვის მინისტრი, გენერალი ოსტინი, სოლედართან ბრძოლას გამოეხმაურა. მან მოვლენებს ფრიად საინტერესო შეფასება მისცა.

– ინფორმაცია სოლედარის დაცემის თაობაზე არ დადასტურდა, – ამბობს ოსტინი.

ბრიტანეთი უკრაინას ტანკებს გადასცემს

დიდი ბრიტანეთი უკრაინისათვის დახმარებას განაგრძობს. თანახმად პრემიერ სუნაკის ცნობისა, ინგლისელები უკრაინას გადასცემენ ჩალლენგერ 2-ის ტიპის ტანკებს.

– უკრაინა შეტევაზე უნდა გადავიდეს და ყველა ოკუპირებული ტერიტორია გაათავისუფლოს. ამისათვის კი კიევს ტანკები სჭირდება, – თქვა სუნაკმა.

რუსეთმა უკრაინა კვლავ დაბომბა

როგორც ცნობილია, სოლედართან რუსებმა უდიდესი ზარალი განიცადეს და ქალაქის აღებაც ვერ მოახერხეს. ბრძოლები გრძელდება. მოსკოვის შურისგებამაც არ დაახანა. რუსეთმა კვლავ დაბომბა უკრაინის მთელი ტერიტორია.

თანახმად რადიო „თავისუფლების“ ცნობისა, რუსმა ოკუპანტებმა დაბომბეს ქალაქები დნეპრი, კრივოი-როგი, კიევი, ივანო-ფრანკოვსკი. რუსები სპეციალურად უმიზნებდნენ საცხოვრებელ სახლებსა და ენერგოობიექტებს. ამან მშვიდობიან მოსახლეობაში მსხვერპლი გამოიწვია. მხოლოდ ქალაქ დნეპრში დაღუპულია 39 ადამიანი.

უკრაინის დაბომბვას ბელარუსის თვითმარქვია პრეზიდენტი ლუკაშენკოც გამოეხმაურა. მან მომხდარში უკრაინელები დაადანაშაულა.

– უკრაინელებმა რუსებს გააფთრებული წინააღმდეგობა გაუწიეს. რად ღირს თუნდაც ის, რაც სოლედართან მოხდა და ხდება! რუსეთმაც შური იძია და ეს მთლიანად უკრაინის პრეზიდენტ ზელენსკისა და უკრაინელი ნაციონალისტების სინდისზეა, – აცხადებს ლუკაშენკო.

❖❖❖

უკრაინაში ბრძოლები გრძელდება. სოლედარის გარდა, ბრძოლებია ბახმუტთან, მაგრამ მათი ინტენსიურობა მკვეთრად შემცირდა. რუსები ჯიუტად ცდილობენ, შეტევაზე გადავიდნენ, მაგრამ მათი ყველა მცდელობა ამაოა. მსგავსი სურათია მარინკასთან, ავდეევკასთან, პესკისთან.

საინტერესო სურათი შეიქმნა ლუგანსკის ოლქშიც. უკრაინელები განაგრძობენ წინსვლას სვატოვო-კრემენოეს მიმართულებით. ამაოა რუსების ყველა მცდელობა, შეაჩერონ მათი შეტევები. კრემენოე ალყაშია. რუსი ოკუპანტების რიგებში უდიდესი დანაკარგებია.

რაც შეეხება უკრაინის სამხრეთს, იქ რუსებმა ზაპოროჟიეს მიმართულებით შეტევა ცადეს. ის მოგერიებულ იქნა. პასუხად რუსებმა დაბომბეს ზაპოროჟიე, ხერსონი და ა.შ. ამან უკრაინელი პარტიზანების გააქტიურება გამოიწვია. აფეთქებათა სერიები არ წყდება მელიტოპოლში (ზაპოროჟიეს ოლქი). ბერდიანსკში უკრაინელმა პარტიზანებმა ადგილობრივი გამგეობის თავმჯდომარის კიჩიგინის მანქანა ააფეთქეს. ამ აქციით არავინ არ დაზარალებულა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ბუბა კიკაბიძე 84 წლის ასაკში გარდაიცვალა

დასაწყისი მე-8 გვერდზე

ზე ბუბას მოსვლას მისი ერთგული მენეჯერი და მეგობარი სოსო აბზიანიძე მატყობინებდა, სცენის კიდეში დგებოდა და საორკესტრო ორმოში დაბალი და მშვიდი ხმით მეუბნებოდა: „ბუბა მოვიდა“, ეს კი ყოველთვის ნიშნავდა ჩვეულებრივი სამუშაო პროცესის ნამდვილ დღესასწაულად ქცევას. ახლა აკვიატებულად ისევ სოსოს ხმით ჩამესმის კვლავაც ორი, მაგრამ ამჯერად ძალიან სევდიანი სიტყვათა თანწყობა: „ბუბა წავიდა“...

მოსვლიდან წასვლამდე კინოსა თუ მუსიკაში იმდენი მოასწრო და გააკეთა, იმდენი ადამიანის გული და გონება დაიპყრო, რომ ახლა უკვე სიმშვიდისა და დასვენებისთვის მიიბარა თავისთან მაღალმა ღმერთმა.

მომენატრები, ჩემო ძვირფასო ბუბა, გამორჩეულო გულშემატკივარო და მეგობარო! მადლობა ნდობისთვის, სიყვარულისთვის, მშვიდობით და ოდეს კვლავ შეხვედრამდე.

ნინი შერმადინი, მომღერალი:

– კიდევ ერთმა ლეგენდამ დაგვტოვა და გადავიდა მარადისობაში! ბატონო ბუბა, ბედნიერი ვარ, რომ პირადად გიცნობდით. „კრასავიცას“ მეძახდა. მქონდა ეს ბედნიერება, სიცოცხლეშივე მეთქვა თქვენთვის, თუ როგორ მიყვარდით.

დიდი მადლობა ისტორიისთვის, დიდი მადლობა უკვდავი მუსიკისთვის, დიდი მადლობა ყველაფრისთვის.

ღმერთმა აცხოვნოს თქვენი სული! ამინ! თქვენ სულ იცოცხლებთ, სანამ თქვენი შემოქმედება იარსებებს. ეს კი ნამდვილად უკვდავია.

მასტერი, რეპერი:

– ლეგენდა და დიდი ეპოქის შემქმნელი ბუბა კიკაბიძე წავიდა და დაგვიტოვა განძი გენიალური ფილმებისა და უნიკალური სიმღერების. მადლობა.

ნიკა ქავთარაძე, იუმორისტი:

– ბუბა კიკაბიძე იყო ადამიანი, რომელმაც დაახლოებით 5 სხვადასხვა თაობის სრულიად განსხვავებულ მილიონობით ადამიანს შეაყვარა ამ ქვეყანაში თავი უზომოდ.

და რადგან ეს ყველაფერი უწყვეტად ხდებოდა, ბუბას ქარიზმა ამ ყველა თაობას საოცარ საერთო შეგრძნებას გვიჩენდა. თითქოს ასაკი არ გვემატებოდა, არ ვბერდებოდით.

ახლა კი უცებ თითქოს ყველამ ვიგრძენით ასაკი – სევდისგან და იმის გააზრებისგანაც, რამდენი წელი გვაცხოვრა მისი სამყაროს გმირების სიყვარულით, მისი სიმღერების ღიღინში. ბუბა კიკაბიძეს გაუმარჯოს!

გია ბაღაშვილი, მუსიკოსი:

– ხომ ვიცოდი, რომ აღარ ჰქონდა ორგანიზმს რესურსი და ეს დღე მოახლოებული იყო, ისე ჩამწყდა რაღაც გულში, მხოლოდ ძალიან ახლობელი და ძვირფასი ადამიანის წასვლისას რომ გემართება.

წავიდა ბუბა!

ყოველი შეხვედრისას პირველი ამას მეტყოდა ხოლმე: ხომ იცი, შენს კარგად ყოფნას იმ დროიდან ვბალეშჩიკობ, წლინახევრის რომ იყავი, 40 სიცხით ბავშვთა ინფექციურში იწექი და მე და მამაშენი საავადმყოფოს ეზოში სიმწრით არაყს ვურტყამდითო. ხედავ, მაშინ როგორ გადღეგრძელე, რომ 3 დღეში ჯანმრთელი უკვე სახლში გამოგწერესო.

1994 წელს გასტროლებზე მოვხვდით ერთად ისრაელში. ჩემი თვალით მაქვს ნანახი, როგორ გადაიდო თელ ავივის აეროპორტში ალმა ატის რეისი 40 წუთით, ვინაიდან მთელი თვითმფრინავი, პილოტების ჩათვლით, ბუბასთან იღებდა ფოტოებს. ის კი არა, ორმა ქალბატონმა ჩემთან გადაიღო ფოტო, „ონ ვმესტე ს კიკაბიდზეო“.

მისი უახლოესი მეგობრები – გია ყანჩელი, გია დანელია და რეზო გაბრიაძე იქ ხვდებიან. ბუბაც მათთან მივა. ისევ შეიკვრება დიდი ოთხეული. ღმერთმა ნათელში ამყოფოთ!

კახა კალაძე, თბილისის მერი:

– ვწუხვარ ცნობილი ქართველი კინომსახიობის, სცენარისტის, ყველასთვის საყვარელი საესტრადო მომღერლის, ბუბა კიკაბიძის გარდაცვალების გამო.

დიდია ბუბა კიკაბიძის დამსახურება კინემატოგრაფიაში, ქართული საესტრადო მუსიკის განვითარებაში. იგი იყო არაერთი ჯილდოსა და პრემიის მფლობელი, თუმცა მთავარი ის დიდი სიყვარულია, რომელიც მაყურებელსა და მსმენელს დაუტოვა.

ვიზიარებ ბუბა კიკაბიძის ოჯახის, მისი მეგობრების, ქართული კულტურის წარმომადგენელთა გულისტკივილს.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

შედეგები

14 იანვარი
ფეხბურთი

ინგლისი. ჰემპიერლიგა

მანჩესტერი-სიტი	2:1
ბრაიტონი-ლივერპული	3:0
ვულვზი-ვესტ ჰემი	1:0
ნოტინგემი-ლესტერი	2:0
ევერტონი-საუთჰემპტონი	1:2
ბრენტფორდი-ბორნმუთი	2:0

სატენნისო ცხრილი:

1.არსენალი	17	14	2	1	40-14	44
2.სიტი	18	12	3	3	46-18	39
3.მანჩესტერი	18	12	2	4	29-21	38
4.ნიუკასლი	18	9	8	1	32-11	35
5.ტოტენჰემი	18	10	3	5	37-25	33
6.ფულემი	19	9	4	6	32-28	31
7.ბრაიტონი	18	9	3	6	35-25	30
8.ბრენტფორდი	19	7	8	4	32-28	29
9.ლივერპული	18	8	4	6	34-25	28
10.ჩელსი	18	7	4	7	21-21	25
11.ასტონ ვილა	19	7	4	8	22-27	25
12.კრ.პალასი	17	6	4	7	17-25	22
13.ნოტინგემი	19	5	5	9	15-34	20
14.ლესტერი	19	5	2	12	26-33	17
15.ლიდსი	18	4	5	9	26-33	17
16.ვულვზი	19	4	5	10	12-27	17
17.ბორნმუთი	19	4	4	11	18-41	16
18.ვესტ ჰემი	19	4	3	12	15-25	15
19.ევერტონი	19	3	6	10	15-26	15
20.საუთჰემპტონი	19	4	3	12	17-34	15

ინგლისი. ჩემპიონლიგა

როტერჰემი-ბლექბერნი	4:0
ბარნლი-ქოვენთრი	1:0
ბრისტოლი-ბირმინგემი	4:2
კარდიფი-უიგანი	1:1
ლუთონი-ვესტ ბრომვიჩი	2:3
მიდლსბრო-მილუოლი	1:0
პრესტონი-ნორვიჩი	0:4
რედინგი-ქარ	2:2
სანდერლენდი-სუონსი	1:3
უოტფორდი-ბლექპული	2:0
ჰალი-ჰადერსფილდი	1:1
შეფილდი-სტოკი	3:1

ესპანეთი. ჰიმეჩა დივიზიონი

ვალიადოლიდი-რაიო	0:1
ხირონა-სევილია	2:1
ოსასუნა-მალიორკა	1:0
სოსიედადი-ბილბაო	3:1

სატენნისო ცხრილი:

1.ბარსელონა	16	13	2	1	35-6	41
2.რეალი	16	12	2	2	36-16	38
3.სოსიედადი	17	11	2	4	26-18	35
4.ბეტისი	16	8	4	4	19-13	28
5.ვილიარეალი	17	8	4	5	20-13	28
6.ატლეტიკო	16	8	3	5	23-15	27
7.ოსასუნა	17	8	3	6	17-16	27
8.ბილბაო	17	7	5	5	25-17	26
9.რაიო	17	7	5	5	24-20	26
10.მალიორკა	17	6	4	7	14-16	22
11.ხირონა	17	5	6	6	26-27	21
12.ვალენსია	16	5	4	7	23-18	19
13.ვალიადოლიდი	17	5	2	10	13-25	17
14.ალმერია	16	5	2	9	17-25	17
15.ხეტაფე	16	4	5	7	15-22	17
16.სელტა	17	4	5	8	17-28	17
17.სევილია	17	3	6	8	17-26	15
18.კადისი	16	3	6	7	11-27	15
19.ესპანიოლი	16	2	8	6	19-25	14
20.ელჩე	16	0	4	12	10-34	4

ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

კარტახენა-უესკა	0:0
ვილიარეალი ბ-სარაგოსა	2:3
იბიცა-ლას პალმასი	1:2
რასინგი-ხიხონი	2:0
ტენერიფე-პონფერადინა	0:0
ლევანტე-გრანადა	3:1

სატენნისო ცხრილი:

1.ნაპოლი	18	15	2	1	44-14	47
2.მილანი	18	11	5	2	35-20	38
3.იუვენტუსი	18	11	4	3	27-12	37
4.ინტერი	18	12	1	5	38-24	37
5.ლაციო	17	9	4	4	29-15	31
6.ატალანტა	17	9	4	4	26-18	31
7.რომა	17	9	4	4	21-16	31
8.უდინეზე	17	6	7	4	25-19	25
9.ფიორენტინა	17	6	5	6	21-22	23
10.ტორინო	17	6	5	6	18-19	23
11.მონცა	18	6	3	9	22-27	21
12.ლეჩე	18	4	8	6	18-20	20
13.ემპოლი	17	4	7	6	15-22	19
14.ბოლონია	17	5	4	8	21-28	19
15.სალერნიტანა	17	4	6	7	21-27	18
16.სასუოლო	17	4	4	9	17-26	16
17.სპეცია	17	3	6	8	16-28	15
18.ვერონა	18	2	3	13	15-31	9
19.სამპდორია	17	2	3	12	8-30	9
20.კრემონეზე	18	0	7	11	13-32	7

იტალია. სერია ა

კრემონეზე-მონცა	2:3
ლეჩე-მილანი	2:2
ინტერი-ვერონა	1:0

იტალია. სერია ბ

ბარი-პარმა	4:0
კალიარი-კომო	2:0
პერუჯა-პალერმო	3:3
პიზა-ჩიტადელა	1:2
რეჯინა-სპალი	0:1
ფროზინონე-მოდენა	2:1

სატენნისო ცხრილი:

1.პსჟ	18	15	2	1	48-13	47
2.ლანსი	19	13	5	1	32-13	44
3.მარსელი	19	13	3	3	39-16	42
4.რენი	18	10	4	4	35-20	34
5.მონაკო	18	10	4	4	35-25	34
6.ლორიანი	19	9	5	5	31-29	32
7.ლილი	18	9	4	5	30-24	31
8.ლიონი	19	7	4	8	28-23	25
9.კლერმონი	18	7	4	7	22-26	25
10.ნიცა	18	6	6	6	22-20	24
11.რეიმსი	18	5	9	4	21-23	24
12.ტულუზა	18	6	4	8	28-33	22
13.ტრუა	18	4	6	8	29-35	18
14.ნანტი	18	3	9	6	18-24	18
15.მონპელიე	18	5	2	11	28-37	17
16.სტრასბური	19	2	9	8	24-34	15
17.აიაჩო	18	4	3	11	15-27	15
18.ბრესტი	18	3	5	10	18-33	14
19.ოსერი	19	3	4	12	16-41	13
20.ანჟე	18	2	2	14	16-39	8

საფრანგეთი. ლიგა 1

ლანსი-ოსერი	1:0
მარსელი-ლორიანი	3:1
ლიონი-სტრასბური	1:2

ნიდერლანდები. ეროვნული დივიზიონი

ვოლენდამი-ვალვაიკი	2:1
ჰერენვენი-ვალვაიკი	0:2
აიაქსი-ტვენტე	0:0
სპარტა-ექსელსიორი	1:0

პორტუგალია. ჰიმეიხა ლიგა

ვიზელა-მარიტიმუ	3:0
რიუ ავე-ფერეირა	0:1
ბრაგა-ბოავიშტა	1:0

ბელგია. ა დივიზიონი

სერენი-სტანდარდი	1:1
მეხელენი-ოსტენდე	2:1
ეუპენი-სტ.ტრუიდენი	0:2
გენკი-ვარეგემი	1:0

შოტლანდია. ჰემეიხლიგა

მოზერველი-როსი	1:1
სტ.ჯონსონი-ლივინგსტონი	2:4
ჰიბერნიანი-დ.იუნაიტედი	2:2

თურქეთი. სუპერლიგა

ანთალია-გირესუნი	2:2
ადანა-ანკარაგიუჯიუ	3:1
ქონია-ბეშიქთაში	1:2
ტრაბზონი-ბაშაქშეჰირი	1:0

საბერძნეთი. სუპერლიგა

ლამია-ატრომიტოსი	1:1
პაოიკი-ოფი	0:0

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

განცხადებები

● მამაკაცებისთვის: სქესობრივი უძლურების, შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის, ადენომის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-ნორ მალიზება, პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობის, წვის, ტკივილის, ქავილის, გაორებული, წყვეტილი და უნებლიე შარდვის (ბავშვებშიც!) აღმოფხვრა, ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციებისგან გაწმენდა, რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება სწრაფი კვლევებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოპოროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრით, სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილის, გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა. სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, დაბუჟების, კრუნჩხვების მოხსნა, გაჯანსაღება საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციები სახსრების 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, მრავალწლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-91-37-65 ან 247-58-83.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა – რეალური გამოსავალი!!! ნევროზის, დეპრესიის, შიშების, უძილობის, აკვიატებული აზრების, აგრესიის, „თეთრი ცხელების“, ძილის პროცესების დარღვევის, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების მოწესრიგება გონებრივი შესაძლებლობების აღდგენით, ღვიძლისა და სისხლის გაწმენდა (დეტოქსიკაცია) საჭირო კვლევებით. ტელ: 599-72-21-38.

რაგბის კავშირმა საუკეთესოები გამოავლინა

საქართველოს რაგბის კავშირმა 2022 წელი შეაჯამა და სხვადასხვა ნომინაციაში გამორჩეულები დააჯილდოვა.

მასშტაბურ ღონისძიებას ყველა თაობის მორაგბეები, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროსა და ბიზნესსექტორის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. თუმცა, არავის გახსენებია ჟურნალისტები, რომლებიც სპორტის ამ სახეობას გვერდში აქტიურად უდგანან. სამწუხაროდ, რაგბის კავშირი მხოლოდ ტელეკომპანია „იმედს“ ცნობს...

ნომინანტთა ნაწილი – გულშემატკივართა გამოკითხვით, ნაწილი – სტატისტიკის საფუძველზე, ნაწილი კი მედიის, კლუბებისა და სპორტული საბჭოს წარმომადგენლების გამოკითხვის შედეგად გამოვლინდა.

გულშემატკივართა გამოკითხვის შედეგად წლის მორაგბედ ზედიზედ მეორედ (2021, 2022) დავით ნინიაშვილი დასახელდა. ნინიაშვილი წლის საუკეთესო ლეგიონერიც გახდა.

საუკეთესო მორაგბის ნომინაციაზე წარდგენილი იყვნენ: დავით ნინიაშვილი; სანდრო თოდუა; ვასილ ლობჟანიძე; ბექა საღინაძე; ბექა გორგაძე.

ნინიაშვილი ტოპ 14-ის ლიონში 2021 წლის ზაფხულში გადავიდა და, მიუხედავად თინეიჯერული ასაკისა, გუნდის შეუცვლელ მოთამაშედ მალევე იქცა, 2020 წლიდან კი „ბორჯღალოსნების“ უცვლელი წევრიც გახდა. 2022 წელს ნაკრებში 10-დან 8 მატჩში მიიღო მონაწილეობა, ყველა შემთხვევაში სასტარტო შემადგენლობაში იყო, ჯამში მოედანზე 606 წუთი გაატარა და 2 ლელო გაიტანა. ასევე რამდენიმე სალელოვე პასის ავტორიც გახდა და იტალიასთან და უელსთან მოპოვებულ ისტორიულ გამარჯვებებში დიდი წვლილი შეიტანა. ჯამში 20 წლის მორაგბის ანგარიშზე 17 კეპი და 33 ქულაა (6 ლელო, 1 ჯარიმა).

გულშემატკივარმა წლის საუკეთესო ლელოდ თედო აბჟანდაძის მიერ იტალიასთან გატანილი პირველი ლელო აღიარა: ნინიაშვილმა ფეხით გადაკიდებული ბურთი ცენტრალური ხაზის სიახლოვეს მაღალ ნახტომში მოხსნა, მარჯვენა ფრთაზე გაიჭრა და აბჟანდაძეს პასი არ დაუგვიანა, თედომ კი, ბოლო მცველი ცრუმოძრაობით ჩამოიცილა და ოვალი ძელებშუა დაამიწა.

საუკეთესო ლელოს ნომინაციაზე წარდგენილი იყო: თედო აბჟანდაძის ლელო იტალიასთან; დავით ნინიაშვილის ლელო არგენტინა 15-თან; სანდრო თოდუას ლელო უელსთან; სანდრო თოდუას ლელო იტალიასთან; აკა ტაბუცაძის ლელო ესპანეთთან.

წლის დარტყმა 19 ნოემბერს კარდიფში ლუკა მატკავამ შეასრულა. ახალგაზრდა მგეზავი უელსთან შეცვლაზე 74-ე წუთზე შევიდა, 78-ზე კი დაახლოებით 42 მეტრიდან ჯარიმა გაიტანა და საქართველოს ისტორიული გამარჯვება მოუპოვა – 13:12. ეს მატკავასთვის მეორე სანაკრებო თამაში და პირველი ქულები იყო.

წლის დარტყმის ნომინანტები იყვნენ: ლუკა მატკავას ჯარიმა უელსთან; გელა აფრასიძის ჯარიმა იტალიასთან; თედო აბჟანდაძის ჯარიმა სამოასთან; ვასილ ლობჟანიძის არეკნი ესპანეთთან; თედო აბჟანდაძის გარდასახვა არგენტინა 15-თან.

წლის დებიუტანტად 20 წლის ალექსანდრე ქუნთელია დასახელდა, რომელიც ნოემბერში სამოასთან მატჩში შეცვლაზე 63-ე წუთზე შევიდა და 5 წუთში სადებიუტო ლელოც გაიტანა. ერთი კვირის თავზე ქუნთელიამ უელსთანაცაც შეცვლაზე ითამაშა. დასკვნით წუთებში საქართველომ მეტოქე მისსავე შერკინებაში ორჯერ დაჯარიმა, რაშიც ქუნთელიას წვლილიც იყო და „ბორჯღალოსნებმა“ კარდიფში ისტორიული გამარჯვება მოიპოვეს.

წლის დებიუტანტის ნომინანტები იყვნენ: ლუკა მატკავა; სანდრო ქუნთელია; ლადო ჩაჩანიძე, ნიკა აბულაძე; სანდრო მამამთავრიშვილი.

2022 წელს „ბორჯღალოსნების“ კვართით ყველაზე მეტი – 7 ლელო აკა ტაბუცაძემ გაიტანა. მან 8 თამაშში მიიღო მონაწილეობა და მოედანზე ჯამში 599 წუთი გაატარა. 2020 წლიდან დღემდე ტაბუცაძემ 23 თამაშში 19 ლელო მიითვალა.

წლის მექულე თედო აბჟანდაძეა. მან გასული წლის განმავლობაში 10-ივე შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა, მოედანზე 779 წუთი გაატარა და გუნდს 119 ქულა შესძინა – 3 ლელო, 28 გარდასახვა და 16 ჯარიმა. სულ კი, 2018 წლიდან დღემდე, 38 მატჩში 307 ქულა მოიხვეჭა.

სპეციალური პრიზი, წლის კაპიტანი, გადაეცა „ბორჯღალოსნებისა“ და შავი ლომის კაპიტან მერაბ შარიქაძეს.

ასევე დაჯილდოვდნენ **რაგბის კავშირის რჩეული მორაგბეები** – სანდრო თოდუა და ვასილ ლობჟანიძე. თოდუამ წლის განმავლობაში 8 თამაშში 3 ლელო გაიტანა, მათ შორის თითო-თითო იტალიასთან და უელსთან. 9 შეხვედრა ჩაატარა ლობჟანიძემ, ტრადიციულად, სტაბილური იყო. მანაც 3 ლელო მიითვალა.

წლის მწვრთნელისთვის განკუთვნილი ჯილდო ლევან მაისაშვილს გადაეცა, რომლის გაწვრთნილმა „ბორჯღალოსნებმა“ 2022 წელს ორი ისტორიული გამარჯვება მოიპოვეს ტიერ1-ის გუნდებთან – ჯერ იტალიასთან ბათუმში და მერე უელსთან კარდიფში. გარდა ამისა, მაისაშვილმა შავ ლომს ორჯერ მოაგებინა რაგბი ევროპის სუპერთასი.

შვიდკაცა რაგბის წლის საუკეთესო ირაკლი სიმსივე გახდა. ბოლო პერიოდში ქუთაისის აიას მორაგბე შვიდკაცას უცვლელ წევრად იქცა და, ფაქტობრივად, მთელი წელი შეუსვენებლივ ირაგბა. კლუბში ხაზის მოთამაშე, აღნაგობიდან გამომდინარე, შვიდკაცაში შერკინების პოზიციაზე ირჯება და დუბაის საერთაშორისო ტურნირის ფინალში გარდასახვიქებასა და რაგბის პოპულარიზებაში შეტანილი წვლილისთვის რაგბი ტივისთვის.

ასევე დაჯილდოვდნენ დიდი 10-ის გასული, 2021-22 წლების სეზონის საუკეთესოები. შეგახსენებთ, საქართველოს 32-ე ჩემპიონატის ფინალში, ბათუმმა ბოლნისის ყოჩები 23:14 დაამარცხა და ქვეყნის ჩემპიონი მეოთხედ გახდა. ვერცხლის მედლები ყოჩებს ერგო, ბრინჯაოს კი რუსთავის ხარები დაეუფლა.

საუკეთესოების გამოსავლენად კლუბებს შორის გამოკითხვა ჩატარდა, ორი ნომინანტი კი სტატისტიკის საფუძველზე გამოვლინდა.

დიდი 10-ის გასული სეზონის საუკეთესო მწვრთნელი ვიქტორ დიდებულიძე (ყოჩები, ბოლნისი) გახდა. ვეტერან „ბორჯღალოსანს“ ნაკრების კვართით 45 თამაში აქვს ჩატარებული, ორი მსოფლიო თასის მონაწილეა და ჯამში 5 ლელო აქვს გატანილი. მისი გაწვრთნილი გუნდი ლაღად ბურთაობდა და ქომაგს სანახაობრივი რაგბით ანებივრებდა. რაც მთავარია, ამას შესაბამისი შედეგიც ახლდა. მიუხედავად იმისა, რომ ყოჩები ფინალში დამარცხდა, მეტოქე კლუბებმა ჯამში საუკეთესოდ დიდებულიძე დაასახელეს.

დიდი 10-ის საუკეთესო მორაგბედ კლუბებმა ბათუმის ფულბეკი ბექა ურჯუკაშვილი დაასახელეს. ზღვისპირელთა კაპიტანი ჩემპიონობის ერთ-ერთი მთავარი შემოქმედი იყო და ფინალში ყოჩებს ლელოც გაუტანა. ურჯუკაშვილს „ბორჯღალოსანთა“ კვართით 7-ჯერ უთამაშია და 2 ლელო და 3 ჯარიმა გაიტანა.

სტატისტიკის შედეგად **საუკეთესო მექულე** 209 ქულით მამუკა ნინიძე გახდა. მან 6 ლელო, 64 გარდასახვა და 17 ჯარიმა გაიტანა. ცხადია, კარგი თამაშითა და სტაბილურობით ბათუმელთა ტრიუმფის ერთ-ერთი შემოქმედი იყო. მამუკას ანგარიშზე 3 სანაკრებო კეპია.

16 ლელოთი **საუკეთესო მელელოვე** რუსთავის ხარების კვაჭი ლევან ჭავჭავაძე გახდა. მან უახლოეს მდევრებს მთელი 6 ლელოთი აჯობა. ჭავჭავაძე რუსთაველთა მძლავრ მოლს ხშირად ასრულებდა ლელოთი, თუმცა რამდენჯერმე მეტოქის ხაზი ღია თამაშშიც გაარღვია. გასულ სეზონში მატჩის საუკეთესო მოთამაშედ ყველაზე მეტჯერ, 5-ჯერ დასახელდა.

ჯილდო, როგორც **სწრაფად განვითარებადი კლუბი**, ხვამლმა დაიმსახურა. მიუხედავად მწირი რესურსისა, დავით ცხვედიანის ხელმძღვანელობით, გუნდმა სწრაფად გაიარა სხვადასხვა ეტაპი და გასულ სეზონში პირველი ლიგის მოგებით დიდ 10-ში დაწინაურდა, სადაც მიმდინარე სეზონის 11 თამაშიდან 4 მოიგო, 6-ში კი მცირედი მარცხისთვის ნუგეშ-ქულას გამორჩა.

სფფ-ს საპრეზიდენტო არჩევნებში ლევან კობიაშვილი უკონკურენტოდ იქნება

როგორც იქნა, გაირკვა, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის (სფფ) პრეზიდენტობის კანდიდატების რეგისტრაცია დასრულდა.

2023-27 წლის პრეზიდენტობის არჩევნებში მონაწილეობას მხოლოდ ერთი კანდიდატი მიიღებს – ლევან კობიაშვილი, რომელიც სფფ-ში 29 სუბიექტმა წარადგინა.

ქართული ფეხბურთის მმართველი ორგანოს პრეზიდენტს 4 თებერვალს სფფ-ის XXXIII საარჩევნო ყრილობაზე აირჩევენ. არჩეული კანდიდატი აღნიშნულ თანამდებობას მომავალი 4 წლის განმავლობაში დაიკავებს.

ყრილობასთან დაკავშირებით, 16 იანვარს, 12:00 საათზე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა გაიმართება.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხებია:

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის 33-ე საარჩევნო ყრილობის საპროცედურო რეგლამენტის დამტკიცების შესახებ;

სხვადასხვა;

მედიის წარმომადგენლებისთვის კომენტარები აღმასრულებელი კომიტეტის სხდომის დასრულების შემდეგ გაკეთდება.

45 წლის კობიაშვილი სფფ-ს პრეზიდენტად პირველად 2015 წლის ოქტომბერში აირჩიეს, როდესაც მისი კონკურენტი რევაზ არველაძე იყო. 2019 წლის თებერვალში პრეზიდენტი უკვე მეორე ვადით გახდა და მაშინაც ერთადერთი კანდიდატი იყო. ცხადია, კობიაშვილი ქართული ფეხბურთის შეფი მესამედაც გახდება.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

მჭედლიშვილი საქართველოს ჩემპიონია

თბილისის ჭადრაკის სასახლეში საქართველოს მოჭადრაკე ვაჟთა უმაღლესი ლიგის პირველობა (საპრიზო ფონდი 30.000 ლარი) დასრულდა. ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი მეოთხედ გახდა მიხეილ მჭედლიშვილი, რომელმაც, ტიტულთან ერთად, 2023 წლის ევროპის ჩემპიონატის საგზური და 10.000 ლარი ირგუნა.

საერთოდაც, ბოლო მე-9 ტური „მშვიდობიანი“ გამოდგა და ყველა პარტია ყაიმით დასრულდა: ნოე თუთისანი-ნიკოლოზ კაჭარავა, გიგა ყუფარაძე-დავით მაღალაშვილი, თორნიკე სანიკიძე-მერაბ გაგუნაშვილი, ნიკოლოზ პეტრიაშვილი-ლუკა პაიჭაძე, გაიოზ ნიგალიძე-მიხეილ მჭედლიშვილი.

საბოლოოდ ადგილები ასე განაწილდა: 1.მიხეილ მჭედლიშვილი – 7 ქულა; 2.გიგა ყუფარაძე – 6; 3.თორნიკე სანიკიძე – 5; 4.ლუკა პაიჭაძე – 5; 5.მერაბ გაგუნაშვილი – 5; 6.ნიკოლოზ კაჭარავა – 4.5; 7.გაიოზ ნიგალიძე – 4; 8.დავით მაღალაშვილი – 4; 9.ნიკოლოზ პეტრიაშვილი – 3; 10.ნოე თუთისანი – 1.5 ქულა.

შეჯიბრების გამარჯვებულები და პრიზიორები საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის ახლა არჩეულმა პრეზიდენტმა აკაკი იაშვილმა დააჯილდოვა.

სამივე მედალოსანი ევროპის ვაჟთა ჩემპიონატზე გასამგზავრებლად დაფინანსდება.

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ჯოსვოოიდი ბ



შვეულად: 1. ღვინის შემრჩევი, კონსულტანტი კლიენტთათვის მაღალი კლასის რესტორნებში; 2. უსქესო, ვეგეტატიური გზით წარმოშობილი შთამომავლობა; 3. ფანქრების მწარმოებელი ჩეხური ფირმა; 4. თვითმფრინავების სადგომი; 5. რაიონული ცენტრი კახეთში; 6. ძველი ბერძენი ფილოსოფოსი, ორატორი; 11. ქათმისებრთა ოჯახის გარეული ფრინველი; 13. მაღალხარისხოვანი შალის საკოსტიუმე ქსოვილი; 14. დანიელი მეზღაპრე; 15. ძაღლების ჯიშების შემსწავლელი დისციპლინა; 17. საგანგებოდ გამოყვანილი შებოლილი ღორის ხორცი; 18. ამერიკული ავიაკოსმოსური კონცერნი; 19. სვანური დროშა.

თარაზულად: 7. წითელი ფერის ფრანგული სადესერტო ღვინო; 8. ფოტოხელოვნების ფუძემდებელი საქართველოში; 9. ტბა სომხეთში; 10. ისტორიული სოფელი მცხეთის რაიონში; 12. შვეიცარიაში გამოყვანილი სამაშველო საქმისთვის განკუთვნილი დიდი ტანის ძაღლი; 14. მწვავე სუნის მქონე აირი, ნიშადურის სპირტი; 16. ამირანის პროტოტიპი აფხაზურ ფოლკლორში; 18. ღვინის მწარმოებელი ქართული ფირმა; 20. ფრანგული კოსმეტიკური ფირმა; 21. ტერიტორიული ერთეული თურქეთში; 22. მოკლებეწვიანი მონადირე ძაღლის ჯიში; 23. ქართული ლუდი; 24. პოპულარული კაფე-რესტორანი ძველ თბილისში, ხელოვანთა თავშეყრის ადგილი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ოგინსკი; 2. დიდება; 3. კაბოშონი; 4. პითაგორა; 7. ციხისძირი; 8. უტინოურა; 12. გრინვიჩი; 14. ბიოსფრო; 16. კომიქსი; 17. კრამტი; 19. თორა; 20. აბიო.

თარაზულად: 5. აგრემანი; 6. ამაშუკელი; 9. ასუანი; 10. ბადიში; 11. ჯინგო; 13. გროგი; 15. რიკოთი; 18. ფობია; 21. პერგამონი; 22. ქულბაქი; 23. სანიოლი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ფიდელიო; 2. ცხუმი; 3. პარანოია; 4. მაკაბი; 5. ვერსაჩე; 6. სახიობა; 11. შაორი; 13. ონაგატა; 14. ბონისტიკა; 15. დინოზავრი; 17. ორფოლო; 18. პლანკი; 19. თორა.

თარაზულად: 7. ჩიბუხი; 8. ნაცარქექია; 9. მერიმე; 10. ბარახასი; 12. მონოგრაფია; 14. ბლენდა; 16. მოლაღური; 18. პანსიონი; 20. საქსი; 21. გზა; 22. კოსტიოლი; 23. შოვი; 24. კარალიოკი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

16 იანვარი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.6789

ევრო — 2.9039

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.2766

100 რუსული რუბლი — 3.9731

ამინდის პროგნოზი 16 იანვრისათვის



გვარდიოლა: „პირველი გოლი ჩვენს კარში არ უნდა ჩათვლილიყო“

მანჩესტერ იუნაიტედმა საკუთარ მოედანზე მანჩესტერ სიტი დაამარცხა 2:1 და იუნაიტედის პირველი გოლი საკამათო აღმოჩნდა, თუმცა მსაჯმა ის მაინც ჩათვალა. მატჩის შემდეგ გვარდიოლამ განაცხადა, რომ მის გუნდს შეეძლო უკეთ თამაში, მაგრამ მსაჯის შეცდომამ შედეგზე გავლენა მოახდინა: „მსაჯებზე საუბარი არ მიყვარს, მაგრამ ფაქტია, რომ მსაჯის შეცდომამ ბევრი რამ გადაწყვიტა. ჩვენ ბევრად უკეთ შეგვიძლია თამაში და მომავალში ამას დავამტკიცებთ“.

იურგენ კლოპი: „ლივერპულს რთული პერიოდი აქვს“



ლივერპული სტუმრად ბრაიტონთან დამარცხდა და ეს გუნდი წელს ძალიან არასტაბილურად გამოიყურება. მატჩის შემდეგ კლოპი თავის ემოციებს არ მალავდა და, მისი თქმით, ლივერპულმა უნდა იპოვოს ძალები, რომ მომავალში უკეთესი ფეხბურთი აჩვენოს: „ყოველთვის ვიცავდი ფეხბურთელებს, მაგრამ დღეს ამის გაკეთება არ შემიძლია. სამწუხაროდ, კრიზისი გვაქვს, რომელიც რაც შეიძლება მალე უნდა დავძლიოთ. იმედი მაქვს, ამ მდგომარეობიდან გამოსავალს ვიპოვით“.

სიმეონე: „ატლეტიკოს დატოვებას არ ვაპირებ“

მადრიდის ატლეტიკოს მთავარმა მწვრთნელმა დიეგო სიმეონემ ჭორებზე ისაუბრა, თითქოს ის ატლეტიკოდან სეზონის ბოლოს მიდის და არგენტინაში ბრუნდება. სიმეონეს თქმით, ეს მხოლოდ ჭორებია: „ატლეტიკოში ჯერ კიდევ მაქვს საქმეები და მინდა, რომ ამ გუნდში დავრჩე. მომავალში რა იქნება, ჯერ ზუსტად არ ვიცი. როდესაც წასვლის შესახებ გადაწყვეტილებას მივიღებ, ამას ყველა გაიგებს“.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

იუმორი

ქალი მამაკაცს ეუბნება:
– ყველა კაცი ერთნაირი ხართ!
– შენ თუ წესიერი ქალი ხარ, საიდან იცი, რომ ყველა მამაკაცი ერთნაირია?

•••

ორი ლექტორი შეხვდა ერთმანეთს ქუჩაში. ერთი მეორეს ეკითხება:
– რაშია საქმე, რატომ ხარ უხასიათოდ?
– ცოლმა სახლიდან გამომაგდო.
– რატომ?
– წუხელის სექსის შემდეგ წამომცდა: „მომეცი შენი ჩათვლის წიგნაკი“.

•••

ქმარი კვდება და მის თავთან მდგარ აცრემლებულ ცოლს ეუბნება:
– ძვირფასო, ვკვდები. სიმართლე მითხარი, ყოველთვის ჩემი ერთგული იყავი, არასოდეს გიღალატია?
– ასეთ დროს როგორ შეგიძლია ამაზე ლაპარაკი! რომ არ მოკვდე?

•••

ბიჭი გოგოს ეკითხება:
– ღელავ?
– კი.
– პირველად გიწევს?
– არა, მაგრამ მაშინაც ვღელავდი.

•••

მასწავლებელი მოსწავლეს ეუბნება:
– ხვალ სკოლაში მშობლის გარეშე არ მოხვიდე.
– და ზეგ?

•••

აფთიაქში ქალი გამყიდველს მიმართავს:
– აციდიუმაცეტილოსალიცილიუმი გააქვთ?
– ასპირინი გინდათ?
– ჰო, სულ მავიწყდება ამ წამლის სახელი...

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ბუბა კიკაბიძე 84 წლის ასაკში გარდაიცვალა



მომღერალი, მსახიობი, რეჟისორი და სცენარისტი ბუბა კიკაბიძე 84 წლის ასაკში გარდაიცვალა. ხელოვანს ჯანმრთელობის პრობლემები ჰქონდა. მას წლების განმავლობაში თირკმლები აწუხებდა და დიალიზზე იმყოფებოდა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და უცხო ენათა ინსტიტუტში სწავლის პარალელურად, ბუბა კიკაბიძე სიმღერით იყო გატაცებული. მისი ხრინწიანი ხმის გამო თურმე დედა ეუბნებოდა, ამ ხმით როგორ მღერი, არ გრცხვენიაო? თუმცა მისმა ინდივიდუალურმა შესრულების მანერამ ხელოვანი ფილარმონიის არტისტად აქცია და ანსამბლების „დიელოს“, „რეროს“, „ორერას“ სოლისტიც გახდა.

რაც შეეხება მის სამსახიობო კარიერას, შესრულებული აქვს დაუვიწყარი როლები ფილმებში: „მიმინო“, „არ იდარდო“, „ვერის უბნის მელოდიები“, „შეხვედრა მთაში“, დამდგმელი რეჟისორი და სცენარის ავტორი იყო ფილმებისა: „იცოცხლე, გენაცვალე“, „მამაკაცები და სხვები“. 2020 წელს იყო საქართველოს მე-10 მოწვევის პარლამენტის წევრი, პარტიული სიით, საარჩევნო ბლოკი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა – გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“.

სოფო ნიჟარაძე, მომღერალი:
– ეპოქა, ლეგენდა, ყველა დროის უდიდესი ქართველი წავიდა...

ნანუკა ჟორჟოლიანი, ჟურნალისტი:
– ნანუკა, შენზე საიმედო მეგობარი ცოტაა ამ ქვეყანაზე, – მითხრა ბოლო ნახვის დროს და ისე ამიჩუყდა გული, ამას მეუბნებოდა ბუბა, რომელმაც, ჩემი აზრით, იცოდა მეგობრობის მნიშვნელობაც და სიტყვა საიმედოსიც. შვილიშვილებს სიამაყით მოვუყვები ჩვენს ყველა შეხვედრას. ძალიან მიყვარდით.

გია როინიშვილი, მსახიობი:
– ბუბა – ეპოქა! ბუბა – დიდი ხელოვანი, ნამდვილი ვარსკვლავი, ბუბა – ნამდვილი მაგალითი პატრიოტიზმის, სამშობლოს სიყვარულის, ადამიანის სიყვარულის, ბუბა – თავისი სამშობლოს საუკეთესო ელჩი ყველგან და ყოველთვის! ნათელი მის სულს! ნათელი მის სახელს!

ნოდიკო ტატიშვილი, მომღერალი:
– ბუბა! ნათელში იყოს მისი სული! დამრჩა საოცარი მოგონებები, წარუშლელი პერიოდი ჩემს ცხოვრებაში და სცენაზე, მასთან ერთად გატარებული.

„ვერის უბნის მელოდიებში“ ის დიდი პავლე იყო – მე პატარა, თუმცა არასდროს გაგრძნობინებდა, რომ ის ნამდვილად დიდი იყო და სინამდვილეში – ლეგენდა!

ათეულობით ვერის უბანი ვითამაშეთ და ვიმღერეთ ერთად და ბედნიერი ადამიანი ვარ, რომ მომიწია მასთან ერთად ყოფნა სცენაზე, გასტროლებზე და სცენის მიღმა.

„ტრიალებს“ ვმღეროდით ერთად სპექტაკლში, დარბაზში ტაში არ ჩერდებოდა ხოლმე მის გამოჩენაზე და არა მარტო საქართველოში.

ღმერთმა აცხონოს და ნათელში ამყოფოს მისი სული!

დათო გორგილაძე, მწერალი:
– ბუბა კიკაბიძე წავიდა.
ხატოვნად და იმედიანად თქმაც შეიძლება – დიდ ავიაციაში დაბრუნდა.
სხვა რომ არაფერი ექნა, მხოლოდ იმ ეპიზოდისთვის ვიქნები მადლიერი, დათოვლილ გზაზე აკვანშემოდგმულ ვირს რომ მიუყვება და წამოტირებისას ჯიბიდან გათოშილი ხელებით ამოაძვრენს სათამაშოს.
მშვიდად იფრინოს.

ნიკოლოზ რაჭველი, დირიჟორი:
– „ვერის უბნის მელოდიების“ რეპეტიციებ-

გაგრძელება მე-6 გვერდზე

„მგზავრების“ კონცერტმა ერევანში სრული ანშლაგით ჩაიარა

ჯგუფი „მგზავრები“ სომხეთს ეწვია და მის დედაქალაქში კონცერტი გამართა.

ქართველი ხელოვანების მიმართ ინტერესი იმდენად დიდი აღმოჩნდა, რომ ერევანში დაგეგმილ კონცერტზე დასასწრები ბილეთები ელვის სისწრაფით გაიყიდა.

გიგი დედალამაზიშვილმა და მისმა მუსიკოსებმა შეკრებილი მსმენელისთვის ძველი და ახალი ჰიტები შეასრულეს და დიდი მოწონება დაიმსახურეს.

სოფო ბათილაშვილი „ვოისს“ გამოეთიშა

„მხოლოდ ქართულის“ პირველი სეზონის გამარჯვებულმა, მომღერალმა სოფო ბათილაშვილმა ევროვიზიაზე საქართველოს წარდგენის სურვილი გამოთქვა და „ვოისში“ მიიღო მონაწილეობა.

ის სოფო ტოროშელიძის გუნდში მოხვდა და შოუს ფერხულში აქტიურად ჩაება. კონკურსანტებისთვის ხმის მიცემის დაწყების შემდეგ კი სოფომ ხმების მცირე რაოდენობა დააგროვა და შოუ დატოვა. სოფო ტოროშელიძის გუნდიდან მასთან ერთად წასვლა ანა ვაშაყმაძესაც მოუწია.

მაყურებლის ხმების უმრავლესობა, 34.80 პროცენტი, თინა დათიკაშვილმა მიიღო და პირველ ადგილზე აღმოჩნდა, მეორე ადგილი მარი ტორონჯაძემ დაიკავა, მესამე ადგილი – სალი ცინცაძემ, მეოთხე ადგილი კი – ლიკა სირაძემ.

რუსთაველის თეატრმა სპექტაკლზე მისული მაყურებელი დაასაჩუქრა

რუსთაველის ეროვნულმა თეატრმა სპექტაკლ „პატარა უფლისწულზე“ მისული მაყურებელი დაასაჩუქრა.

მაყურებელს ქართული თეატრის დღესთან დაკავშირებით საჩუქრად წიგნები და ალბომები გადაეცა.

გათამაშებაში რეჟისორ ნიკოლოზ საბაშვილის მიერ დადგმული სპექტაკლის „პატარა უფლისწულის“ ყველა ბილეთი მონაწილეობდა. სპექტაკლის დასრულებისთანავე მსახიობებმა წინასწარ მოთავსებული ბარათები (რიგისა და ადგილის მითითებით) შემთხვევითობის პრინციპით ამოიღეს და მაყურებელს საჩუქრები თავად გადასცეს.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ასტროპროგნოზი

16 იანვრისათვის

ვერძი – რომანტიკულ განწყობას სხვებსაც გადასდებთ. ნებისმიერი შეხვედრა სასიამოვნო იქნება და გაგახალისებთ. **კურო** – ბევრი საქმე გაქვთ, თუმცა ეს ხელს ვერ შეგიშლით, რათა გასართობადაც მოიცალოთ. საკუთარ თავზე იზრუნეთ. **ტყუპები** – პლანეტები გწყალობენ. სიყვარული გეწვევათ. ყოველმხრივ ძალიან გაგიმართლებთ. **კირჩხიბი** – ნებისმიერ საქმეს თავს წარმატებით გაართმევთ. შესაძლოა, დიდი ხნის უნახავ მეგობარს შეხვდეთ. **ლომი** – აღმაფრენას გრძნობთ. პირად ცხოვრებაში ძალზე სასიკეთო ცვლილებები მოხდება. საპირისპირო სქესთან ურთიერთობა წარმატებულია. **ქალწული** – მომავალი თამამად დაგეგმეთ, ოღონდ ენერგია რაციონალურად გაანაწილეთ. ფიზიკურ დატვირთვას ერიდეთ. **სასწორი** – დღეს მიღებული გადაწყვეტილება ძალზე მნიშვნელოვანი იქნება. ახალ საქმეს ნუ დაიწყებთ. **ღრიანკალი** – დღევანდელი დღისთვის ემოციური აღმავლობაა დამახასიათებელი. კრიტიკულ სიტუაციას თავს მარტივად დააღწევთ. **მშვილდოსანი** – მშვენიერ ხასიათზე ხართ. ყველაფერში გიმართლებთ. ჯანმრთელობას მეტი ყურადღება მიაქციეთ. მხოლოდ ჯანსაღი საკვები მიიღეთ. **თხის რქა** – ძველ მეგობრებთან შეხვედრა გაგახარებთ. შესაძლოა, გავლენიანი მფარველი გამოგიჩნდეთ. **მერწყული** – სასიცოცხლო პოტენციალი ქვეითდება. მომავალს ეჭვით უყურებთ. დაწყებული საქმის დასამთავრებლად გარს თანამოაზრეები შემოიკრიბეთ. **თევზები** – დაბრკოლებების გადალახვა არ გაგიძნელდებათ. საჭიროების შემთხვევაში მეგობრები სიამოვნებით დაგეხმარებიან.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოხდი ↄ



შვეულად: 1 საქართველოს რაგბისტთა გუნდი; 2. ხელოვნურად გაშენებული ტყე; 3. ამერიკელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 4. უეფას პრეზიდენტი; 7. ზოგიერთი მოლუსკის სხეულში წარმოქმნილი ძვირფასი თვალი; 8. ქართლში გავრცელებული ვარდისფერყურძნიანი ვაზის ქართული ჯიში; 12. წყალში გაზავებული ამიაკის ხსნარი; 14. ამერიკული მსუბუქი ავტომობილი; 16. ლურჯი, მინის წარმოებაში გამოყენებული ქიმიური ელემენტი, ლითონი; 17. შექსპირის ტრაგედია; 19. ხელოვნების მუზეუმი ლოს-ანჟელესში; 20. რძის პროდუქტი.

თარაზულად: 5. წყლის ტრამვაი ვენეციაში; 6. ნადირთა მფარველი ღვთაება ქართულ მითოლოგიაში; 9. მიწათმოქმედების, ნაყოფიერების ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 10. სამონასტრო კომპლექსი ახმეტის რაიონში; 11. ისტორიული სამთავრო დასავლეთ საქართველოში; 13. სახელმწიფოს ერთ-ერთი სიმბოლო; 15. გერმანული ფარმაცევტული ფირმა; 18. მუშაობის, ენერგიის საზომი ერთეული ფიზიკაში; 21. ქართველი მხატვარი მამაკაცი, გობელენისტი; 22. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი სამეგრელოში; 23. გულუბრყვილო, უშმაკო ადამიანი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა